



# ხევსურეთის, სამცხე-ჯავახეთის, თუშეთის, სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის შედარებითი ეთნობოტანიკური შესწავლა

რაინერ ვ. ბუსმანი\*, ნარელ ი. პანიაგუა სამბრანა, შალვა სიხარულიძე, ზაალ კიკვიძე, დავით ქიქოძე, დავით ჭელიძე, მანანა ხუციშვილი, ქეთევან ბაცაცაშვილი, რობი ე ჰარტი

## Repatriation - Research

თავდაპირველად გამოქვეყნდა Bussmann, R.W., Zambrana, N.Y.P., Sikharulidze, S., Kikvidze, Z., Kikodze, D., Tchelidze, D., Khutsishvili, M., Batsatsashvili, K. and Hart, R.E., 2016. A comparative ethnobotany of Khevsureti, Samtskhe-Javakheti, Tusheti, Svaneti, and Racha-Lechkhumi, Republic of Georgia (Sakartvelo), Caucasus. *Journal of ethnobiology and ethnomedicine*, 12(1), p.43. DOI 10.1186/s13002-016-0110-2 )

## აბსტრაქტი

**შესავალი:** საქართველო კავკასიის ბიომრავალფეროვნების ცენტრს ეკუთვნის და აქ მინათმოქმედების ისტორია 6000 წელს ითვლის. მაგრამ, 1940 წლის შემდეგ ამ რეგიონიდან ძალიან ცოტა ეთნობოტანიკური კვლევა გამოქვეყნებული. ამ ნაკლის შესავსებად, ჩვენ ჩავატარეთ ეთნობოტანიკური კვლევები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ვამონებდით შემდეგ ჰიპოთეზებს: (1) მცენარეების გამოყენების ხანგრძლივი ტრადიციისა და საბჭოთა პერიოდში იზოლაციის გამო, როგორც ბალ-ბოსტნის, ისე ველური მცენარეების გამოყენების ტრადიციები უკეთაა შემონახული საქართველოში, ვიდრე სხვაგან; (2) საბჭოთა ოკუპაციის წლებს ფართო გავლენა ჰქონდა მცენარეთა გამოყენებაზე; (3) მიუხედავად მცენარეების ფართო გამოყენებისა, ადგილი ექნებოდა მათი ცოდნის გარკვეულ კარგვას.

## Correspondence

რაინერ ვ. ბუსმანი <sup>1\*</sup>, ნარელ ი. პანიაგუა სამბრანა<sup>2</sup>, შალვა სიხარულიძე<sup>1</sup>, ზაალ კიკვიძე<sup>3</sup>, დავით ქიქოძე<sup>1</sup>, დავით ჭელიძე<sup>1</sup>, მანანა ხუციშვილი<sup>1</sup>, ქეთევან ბაცაცაშვილი<sup>1</sup>, რობი ე ჰარტი<sup>4</sup>

<sup>1</sup>ბოტანიკის ინსტიტუტი და ბაკურიანის ალპიური ბოტანიკური ბაღი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბოტანიკური ქუჩა 1, 0105 თბილისი

<sup>2</sup>Herbario Nacional de Bolivia, Instituto de Ecología - UMSA, Campus Universitario, Cota Cota Calle 27, La Paz, Bolivia

<sup>3</sup>ეთნობიოლოგიის და სოციო-ეკოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. 5, 0162 თბილისი

<sup>4</sup>William L Brown Center, Missouri Botanical Garden, PO Box 299, St. Louis, Missouri 63166-0299, USA

\*საკონტაქტო ავტორი, ელ.ფოსტა: rainer.bussmann@iliauni.edu.ge

**Ethnobotany Research & Applications**  
20:55 (2020)

**მეთოდები:** სავლელ სამუშაოები ჩატარდა ხევსურეთში, სამცხე-ჯავახეთში, თუშეთში, სვანეთში და რაჭაში 2013-2014 წწ. ივლის-აგვისტოში და 2015 წ. სექტემბერ-ოქტომბერში.

ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარებით გამოიკითხა 170 მონაწილე (80 ქალი და 90 კაცი), წინასწარი ვერბალური ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ. ყველა გამოკითხვა ჩატარდა მონაწილის სახლსა და კარ-მიდამოში, ქართულად და ადგილობრივ (სვანურ, თუშურ, ხევსურულ, ფშაურ) დიალექტებზე მოსაუბრე მკვლევარების მიერ, ხოლო თუ მონაწილეების მშობლიური ენა სხვა იყო, მაშინ გამოკითხვა ტარდებოდა ბერძნულად, სომხურად და რუსულად, თარჯიმნების დახმარებით.

**შედეგები:** საკვლევ რეგიონებში ჩანერილ იქნა 480 მცენარის სახეობა, რომლებიც ეკუთვნოდა 249 გვარს და 95 ოჯახს. სახეობების ყველაზე მეტი რაოდენობა და უნიკალური სახეობები ჩანერილ იქნა თუშეთსა და ხევსურეთში. ყველა რეგიონში, მონაწილეთა კონსენსუსი მცენარეთა გამოყენებაზე უმაღლესი იყო საკვები და სამკურნალო მცენარეების კატეგორიაში. 480 ჩანერილი სახეობიდან 282 ველურია, 103 ბალ-ბოსტნის, ხოლო 84 სახეობას აგროვებდნენ როგორც ტყეში, ისე ბალ-ბოსტანშიც მოყავდათ.

**დასკვნები:** ჩვენი კვლევის დროს ჩანერილი მცენარეული სახეობები და მათი გამოყენება, როგორც საერთოდ საქართველოში, ისე მის რეგიონებში, მკაფიოდ უკავშირდება უფრო ფართო, კავკასია-მცირე-აზია-ბალკანეთის კომპლექსს. მაგრამ, საქართველოში მცენარეების გამოყენება ბევრად უფრო მრავალფეროვანი აღმოჩნდა, ვიდრე ევრაზიის რომელიმე სხვა ადგილზე ჩატარებულ შრომებშია აღწერილი.

**გასაღები სიტყვები:** საქართველო, კავკასია, ტრადიციული ცოდნა, ცოდნის კარგვა, კონსერვაცია

## შესავალი

საქართველო მდებარეობს ჩრდ. 41° და 44° განედებსა და აღმ. 40° and 47° გრძედებს შორის, მისი ფართობია დაახ. 70000 კვ.კმ. საქართველო პოლიტიკურად ევროკავშირთანაა ასოცირებული და არის ევროპული განვითარებისა და კოოპერაციის უმთავრესი პროგრამების მონაწილე.

მაგრამ საქართველოს მდებარეობის აღქმა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქმება საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და წინა აზიას შორის. ყველაზე ხშირად, საზღვრად მიიჩნევა დიდი კავკასიონის მთავარი ქედი. ამ

შემთხვევაში, საქართველო, მიუხედავად მისი ტერიტორიის სიმცირისა, წარმოგვიდგება, როგორც ტრანს-კონტინენტური ქვეყანა, რომლის დიდი ნაწილი მდებარეობს ამ საზღვრის სამხრეთით (ანუ აზიაში), ხოლო მცირე, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაწილები (ხევი, პირიქეთი ხევსურეთი, თუშეთი და სხვ.) მდებარეობს კონტინენტების გამყოფი ქედის ჩრდილოეთით (ანუ, ევროპაში). ამიტომ, საქართველოს ხშირად ახასიათებენ, როგორც ევრაზიულ ქვეყანას, რომელიც მდებარეობს გზაჯვარედინზე აღმოსავლეთ ევროპასა და დასავლეთ აზიას შორის. დასავლეთიდან საქართველოს ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან რუსეთის ფედერაცია, სამხრეთიდან თურქეთი და სომხეთი, სამხრეთ აღმოსავლეთიდან კი აზერბაიჯანი (Bussmann et al. 2014).

კავკასიის ქართული ნაწილი წარმოიქმნა როგორც ალპური დანაოჭება გვიანდელ ოლიგოცენის ეპოქაში და ამიტომ სტრუქტურით ის ევროპის ახალგაზრდა მთებს წააგავს. ამგვარად, დიდი კავკასიონის მთები უმთავრესად შედგენილია ცარცული და იურული ქანებით, ასევე პალეოზოური და პრეკემბრიული ქანებით მალა მდებარე რაიონებში. სტრუქტურულად ის წარმოადგენს დიდ ანტიკლინს, რომელიც აღიმართა ალპური დანაოჭების კიდეზე დაახ. 25 მილიონი წლის წინ და შემდეგ განიცდიდა ეროზიისა და აწევის ციკლებს. დასავლეთი ნაწილი ხასიათდება მყარი, კრისტალური ქანებით, როგორცაა ფიქალი და გნეისები, ასევე პრე-იურული გრანიტებით, ხოლო აღმოსავლეთს ახასიათებს ადრეული და შუა იურული თიხოვანი ფიქლები და ქვიშაქვა. დიდი კავკასიონის ძირი აგებულია ახალგაზრდა კირქვით, ქვიშაქვით და მერგლით. ამის საპირისპიროდ, მცირე კავკასიონი ფორმირებულია უმთავრესად პალეოგენის ქანებით, რომელშიც აქა-იქ გაბნეულია იურული და ცარცული ქანები. საქართველოს გეოლოგიურად ყველაზე ახალგაზრდა რეგიონი წარმოადგენილია სამხრეთის ვრცელი ვულკანური ზეგნებით (Nakhutsrishvili 1999, 2012; Zazanashvili et al. 2000).

ორი მთავარი დაბლობი — კოლხეთისა და მტკვარ-არაქსის — ასევე უკავშირდება ალპურ დანაოჭებას; პირველი მონაწილეობს შავი ზღვის, მეორე კი კასპიის ფორმირებაში, კოლხეთის დაბლობი უმთავრესად წარმოადგენს აკუმულაციას, რომელშიც აქა-იქ იჭრება შედარებით ადრინდელი დანალექი ქანებით წარმოქმნილი მთის ძირები. მტკვარ-

არაქსის დაბლობის ძირშიც ახალგაზრდა ქანებია. მთლიანობაში, შეიძლება სამი ტექტონური ერთეულის გამოყოფა დედამიწის ქერქის წანაცვლების ხარისხის მიხედვით: (1) დიდი კავკასიონის დანაოჭების სისტემა, (2) ამიერკავკასიის მთათაშორისი ბარი და (3) მცირე კავკასიონის დანაოჭების სისტემა, ყოველი ეს ტექტონური ერთეული შეიძლება კიდევ ქვე-ერთეულად დაიყოს (Nakhutsrishvili 1999, 2012; Zazanashvili *et al.* 2000).

საქართველოს რელიეფი უკიდურესად რთულია, ჰავის მკვეთრი გრადიენტებით. ოთხი მთავარი ერთეულის გამოყოფა შეიძლება: (1) დიდი კავკასიონის მთები, რომელთა მწვერვალები ზღვის დონიდან 5000 მ-ს აღწაბებს (შხარა, ბაბის მთა, ჭანჭახი და სხვ.); (2) დიდ და მცირე კავკასიონის მთათაშორისი ბარი; (3) მცირე კავკასიონის მთები, სადაც მწვერვალები იშვიათად აღწაბებენ 3000 მ-ს ზღვის დონიდან (ემლიქლი, დიდი აბული და სხვ.); (4) სამხრეთი საქართველოს ვულკანური ზეგანი 1300-2200 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ეს მთავარი ერთეულები უფრო მცირე ქვე-ერთეულად იყოფა (Nakhutsrishvili 1999, 2012; Zazanashvili *et al.* 2000).

საქართველოს ჰავას განისაზღვრავს თბილ ზომიერ სარტყელში მდებარეობა შავ და კასპიის ზღვებს შორის, ასევე რელიეფის სირთულე, რომელშიც მნიშვნელოვანია ქედების მიმართულება. საქართველოს სანაპიროს სიგრძე 330 კმ-ს შეადგენს და მიმდებარე ზონაში ჰავა თბილია: იანვრის საშუალო ტემპერატურა 4–7°C-ია, ივლისისა კი 22–23°C. ნალექები უხვია (1500-2000 მმ), განსაკუთრებით სამხრეთით. ამავე დროს, დიდი კავკასიონის ქედი აკავებს ცივ ქარებს ჩრდილოეთიდან, მაშინ როცა შავი ზღვიდან მონაბერი ნოტიო და თბილი ჰაერი იოლად ვრცელდება ლიხის ქედამდე. ლიხის ქედი რამდენადმე აკავებს თბილი და ნოტიო ჰაერის გავრცელებას აღმოსავლეთით, სადაც ბარი უკვე საკმაოდ მშრალია, თუმცა მთებში ნალექების რაოდენობა ბარისას ორჯერ აღემატება. ასევე, დასავლეთში თბილი და ოკეანურ-სუბტროპიკული ჰავა მხოლოდ ბარში გვხვდება, ზღვის დონიდან 650 მ-ზე დაბლა; უფრო მაღლა მდებარე ადგილები ზომიერად თბილია. მთებში ჰავა გრილი და ნოტიოა და 2100 მ-ზე მაღლა გარემო უკვე სუბ-ალპურ და ალპური ხდება. მუდმივი თოვლი 3600 მ-ზე მაღლა ნარჩუნდება (Nakhutsrishvili 1999, 2012; Zazanashvili *et al.* 2000).

## რეგიონები

რეგიონები, სადაც კვლევები ჩატარდა, მთლიანობაში 18700 კვ. კმ-ს მოიცავს (დაახ., საქართველოს მისანვდომი ტერიტორიის 35%-ს). ესაა უმთავრესად მთაგორიანი რელიეფი, დასავლეთ ნაწილსა და მთების სამხრეთ ფერდობებზე წარმოდგენილი ფართოფოთლოვანი ტყეებით (მათ შორის კოლხური ტყეც), ხოლო აღმოსავლეთ ნაწილსა და ჩრდილოეთ ფერდობებზე წიწვოვანი ტყეებით. ტყეებს ზემოთაა მდელოები და ნივალური ზონა.

სამცხე-ჯავახეთი 1990 წლებიდან მოიცავს მესხეთის (სამცხე), ჯავახეთისა და თორის ისტორიულ მხარეებს, ადმინისტრაციული ცენტრით ახალციხეში. ის ექვსი რაიონისგან შედგება (ახალციხე, ადიგენი, ასპინდა, ბორჯომი, ახალქალაქი და ნინოწმინდა). სამცხე-ჯავახეთს დასავლეთიდან ესაზღვრება აჭარა, ჩრდილო-დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან გურია და იმერეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან შიდა ქართლი და ქვემო ქართლი, სამხრეთიდან კი სომხეთი და თურქეთი. სამცხე-ჯავახეთის ფართობია 6413 კვ.კმ. რეგიონის დიდი ნაწილი უკავია ჯავახეთის ზეგანს, რომელიც ზღვის დონიდან საშუალოდ 1800 მ-ზე მდებარეობს. უმაღლესი მწვერვალებია დიდი აბული (3304 m), სამსარი (3284 m), გოდორები (3188 m) და პატარა აბული (2801 m). ჰავა სამცხე-ჯავახეთში კონტინენტურია, ზომიერად ნალექიანი და ტემპერატურის მკვეთრი სეზონური ცვალებადობა ახასიათებს. საშუალო წლიური ტემპერატურაა 9.5°C, იანვრისა –1.4°C და ივლისისა კი 19.5°C. საერთოდ, აქ ზამთარი ცივი და ხანდახან უხვთოვლიანია, ზაფხული კი რბილი და ხანგრძლივი (Nakhutsrishvili 1999, 2012; Zazanashvili *et al.* 2000; Akhalkatsi and Tarkhnishvili 2012; Otte *et al.* 2011).

სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი, საქართველოს ისტორიული პროვინციები, დიდი კავკასიონის დასავლეთი ნაწილის სამხრეთის მაკრო-ფერდობებზეა შეფენილი. სვანეთის ქედი, როგორც წყალგამყოფი ცხენისწყალსა და ენგურს შორის, ამ კუთხეს ორ ნაწილად ყოფს: ზემო და ქვემო სვანეთის ღრმელები. სვანეთი მდებარეობს ზღვის დონიდან 800-4500მ სიმაღლეზე, ზედაპირი კი 4990 კვ.კმ-ია. ყველაზე თბილი თვეების (ივლის-აგვისტო) 22°C-ს აღწევს დაბლობში მაგრამ მაღალმთაში, 3200 მ-ს მაღლა კლებულობს და +7°C დან -1°C მდე ფარგლებშია. ყველაზე ცივი თვეა იანვარი, +10°C -ით დაბლობში და -30-35°C მაღალმთაში. წლიური ნალექები 1500-2000 მმ-ს აღწევს. რეგიონის მცენარეულობა მოიცავს მთის

ტყეებს, სუბალპურ, ალპურ, სუბნივალურ და ნივალურ სარტყლებს, რაც დასავლეთი საქართველოს ანუ კოლხური მცენარეულობის ზონალობის ტიპს ეკუთვნის [2–6].

ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი კავკასიონის მთავარ ქედზეა განფენილი, 1250-დან 5593 მ-მდე ზღვის დონიდან და მოიცავს დაახ. 7300 კვ.კმ-ს. ჰავა საერთოდ გრილია. საშუალო წლიური ტემპერატურაა 5°C (ივლისში საშუალო ტემპერატურა 13–15°C-ს არწევს). წლიური ნალექები 450-900 მმ ფარგლებშია და უფრო ხშირად თოვლის სახით მოდის. ეს რეგიონი ესაზღვრება დაღესტანს აღმოსავლეთით, ჩეჩნეთ-ინგუშეთს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთ კახეთს სამხრეთით, ხოლო უმაღლესი მწვერვალებია თებულო (4492 მ), კომიტო (4261 მ), დანო (4174 მ) და დიკლოსმთა (4285 მ). თუშეთი გამოირჩევა ეკოზონების სიმრავლითა და მაღალი ბიომრავალფეროვნებით (Nakhutsrishvili 1999, 2012; Zazanashvili *et al.* 2000; Akhalkatsi and Tarkhishvili 2012; Otte *et al.* 2011).

## მცენარეთა გამოყენების ისტორია

კავკასია არის ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი გამორჩეული ცენტრი, და საქართველოს ამ უზარმაზარ ნაირგვარობაში დიდი წვლილი შეაქვს (Akhalkatsi and Tarkhishvili 2012; Otte *et al.* 2011; Schatz *et al.* 2009. კავკასიის ბოტანიკურ შესწავლასაც დიდი ისტორია აქვს, მისი მცენარეულობა კარგად არის აღწერილი, განსაკუთრებით საქართველოში (Nakhutsrishvili 1999, 2012). ამ დიდ ბიომრავალფეროვნებას საქართველოს კანონმდებლობა იცავს (Kimeridze and Akhalkatsi 2006).

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე (ნახ. 1) ადამიანი მუდმივად სახლობს ადრეული ქვის ხანიდან მოყოლებული, ხოლო მიწათმოქმედება ადრეულ ნეოლითში განვითარდა (Javakhishvili 1987). საქართველოს ბერძნული სახელი γαβυνία სემანტიკურად მიწათმოქმედებას უკავშირდება. საერთოდ, პირველი არქაული ადამიანები საქართველოს ტერიტორიაზე სულ ცოტა 1.7 მილიონი წლის წინ სახლობდნენ, როგორც ამას მონიშნავს ჰომინიდების ნამარხები დმანისიდან — ეს ნამარხები უძველესია აფრიკის გარეთ (Finlayson 2005; Gabunia *et al.* 2000; gabunia and Vekua 1995). ბევრი ნამარხი ადასტურებს ნეანდერტალელების და თანამედროვე ადამიანების ყოფნას ქვის ხანაში (Adler and Bar-Oz 2009). ძუძუნას მღვიმეში ნაპოვნ ზედა

პალეოლითის ნამარხებს შორის ნაპოვნია შვებილი ჯიხვის მატყლისა და სელის ბოჭკოები, რომლებიც ჩვენს დრომდე 36-34 ათასი წლით თარიღდება (Adler and Bar-Oz 2009. ნეოლითისა და ადრეული ბრინჯაოს არქეოლოგიური მასალა მდიდარია მცენარეული ნამარხებით, როგორც ველური, ისე კულტურული მცენარეების ადგილობრივი ჯიშებისა. არუხლოში, ჩვენს ერამდე მეექვსე-მეორე ათასწლეულების ფენებში დადასტურებულია კულტურული ხორბლის 7 ჯიშები: *Triticum aestivum*, *T. carthlicum*, *T. compactum* Host, *T. dicoccum* Schrank, *T. macha* Dekapr. & Menabde, *T. monococcum* L., *T. spelta* L., და ერთი მათი ველური ნათესავი, ეგილოპსი *Aegilops cylindrica* Host., ასევე ფეტვი *Panicum milliaceum*, ქერი *Hordeum vulgare*, ღომი *Setaria italica*, შვრია *Avena sativa*, ოსპი *Lens ervoides* (Brignolidi & Brunhoff) Grande და ბარდა *Pisum sativum* (Melikishvili 1970). უადრესი ყურძნის ნიჰნები ღვინის დადუღების ნიშნებით აღმოჩენილია ასევე ქვემო ქართლში, რომელიც თარიღდება ჩვენს დრომდე დაახ. 8000 წლით (Ramishvili 1988). არქეოლოგიურ მასალაში ჩანს მცენარეების სამკურნალოდ გამოყენებაც (Martkoplshvili and Kvavadze 2015), მათ შორის ისეთი სახეობებისა, რომლებიც დღევანდელ ფარმაცოპეაშიც შედის: ფარსმანდუკი *Achillea millefolium*, ავშანი *Artemisia annua*, აბზინდა *A. absinthium*, სახვისთავა *Centaurea jacea* და ჭინჭარი *Urtica dioica* (Bussmann *et al.* 2014).

ხანგრძლივი ტრადიციის გამო, საქართველოს მიწათმოქმედება ხასიათდება ადგილობრივი ჯიშების, ენდემური სახეობებისა და კულტივარების დიდი მრავალფეროვნებით. ეს მცენარეები გამოირჩევიან ადგილობრივ პირობებთან კარგი შეგუებით და ხშირად დაავადებებისადმი მედეგობით. ადრინდელ შრომებში ეს მრავალფეროვნება კარგადაა დოკუმენტირებული (Dekaprevich *et al.* 1929; Ketskhoveli 1928, 1957, 1960; Menabde 1938, 1948), მაგრამ 1950-იანი წლებიდან დაიწყო ხორბლის, პარკოსნებისა და სელის კულტივარების გადაშენება საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო; რეფორმების გამო (Akhalkatsi 2009; Akhalkatsi *et al.* 2012). მიუხედავად ხანგრძლივი ისტორიისა, თანამედროვე კვლევები კულტურულ მცენარეებზე ცოტაა (Pistrick *et al.* 2009; Zhizhizlashvili *et al.* 1980), რაც მიუთითებს ცოდნის კარგვას. ცოდნის კარგვა კი, მაგალითად, ამძიმებს ადამიანის კონფლიქტს მტაცებლებთან (Kikvidze and Tevzadze 2014).



ნახ. 1 საქართველო და მისი შემოგარენი (გაეროს რუკა, ცვლილებებით)

ვაზის *Vitis vinifera* (Vitaceae) გენეტიკური მრავალფეროვნება უმაღლესია საქართველოში, ჩვენში 500-მდე კულტივარია ცნობილი (Javakhishvili 1987; Ramishvili 1988; Ekhvaia and Akhalkatsi 2010; Ketskhoveli *et al.* 1960; This *et al.* 2006), თითქმის ყველგან საქართველოში ღვინის დაყენება და საკუთარი ღვინით სტუმრის გამასპინძლება საამაყო საქმედ ითვლება. საქართველოს ბარში ძნელია სახლის პოვნა საკუთარი ვენახის გარეშე. დღეს, კომერციულად გამოიყენება ყურძნის 41 ჯიშ (Bedoshvili 2008) და კარგი ღვინოც ხელმისაწვდომია, ხოლო მეღვინეობის ისტორია ათასწლეულებს ითვლის. ევროპის ბევრი რეგიონის მსგავსად, საქართველოში ფილოქსერამ (*Phylloxera vastatrix* (Planchon) Signoret) ძალიან აზარალა მეღვინეობა 1860-იან წლებში და ახლა საქართველოში ქართულ ჯიშებს ამერიკულ საძირზე ამყნობენ, რომელიც ფილოქსერას მიმართ გამძლეა.

1940-იან წლებში საქართველოში რეგისტრირებული იყო ხორბლის (*Triticum*) 16 სახეობა, 144 სახესხვაობითა და 150 ფორმით (Menabde 1938, 1948). მაგრამ ეს

მრავალფეროვნება ძალიან დაკნინდა და ბევრი სახეობა გაქრა 1960-იან წლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალი ჯიშების დანერგვის შედეგად. დღეს არც ერთი ეს სახეობა არ ითესება საქართველოს კომერციულ ფერმებში. პისტრიკმა და კოლეგებმა (Pistrick *et al.* 2009) აღწერეს ზოგიერთი ტრადიციული ჯიშ, რომელიც ჯერ კიდევ კულტივირდება თუშეთში, მესხეთში, ჭავჭავეთსა და სვანეთში. ხორბლის ჯიშების დიდი მრავალფეროვნება ასევე ნაჩვენებია მეზობელ თურქეთშიც (Badr *et al.* 2000), რაც ამ რეგიონს ევროპის თანამედროვე მინათმოქმედების აკვნად წარმოაჩენს. ქერი *Hordeum vulgare* (Poaceae) ასევე საქართველოს უძველესი სამინათმოქმედო კულტურაა და განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა ლუდის ხარშვის, ძველ რიტუალებსა და ტრადიციულ მკურნალობაში (Javakhishvili 1987; Akhalkatsi and Girgvliani 2016). კავკასიური ქვავი *Secale cereale* (Poaceae) საქართველოს მაღალმთაში (1800–2200 მ სიმაღლეებზე) მოყავდათ და ადრე მრავალი ადგილობრივი ჯიშის არსებობდა (Castañeda-Alvarez *et al.* 2016). ქვავისგან

აცხობდნენ პურს და ლუდსაც ხარშავდნენ, თუმცა ქერის ლუდი უკეთესად ითვლება.

პარკოსნები, განსაკუთრებით კი ბარდა (*Pisum sativum*), ოსპი (*Lens cornicularis*), მუხუდო (*Cicer arietinum*), ცერცვი (*Vicia faba*) ეხლაც ხშირად მოყავთ საკარმიდამო ნაკვეთებზე; ითვლება, რომ მწვანე ბარდა (*Pisum sativum*) წარმოშობით სამხრეთ კავკასიიდანაა. ტრადიციული ბოსტნეული, როგორცაა სალათა (*Lactuca sativa*), ლობიო (*Phaseolus vulgaris*), რეჰანი (*Ocimum basilicum*), ბაღის პიტნა (*Mentha x piperita*), ხახვი (*Allium cepa*), შაქრის ჭარხალი (*Beta vulgaris*), ისპანახი (*Spinaca oleracea*), სტაფილო (*Daucus carota*), ბოლოკი (*Raphanus sativus*), თაღამი (*Brassica rapa var. rapa*), ჭლაკვი (*Allium fistulosum*), ჯიჯლაყა (*Amaranthus viridis*), ნაცარქათამა (*Chenopodium album*), პრასი (*Allium ampeloprasum*) და ნიორი (*Allium sativum*) ჯერ კიდევ ხშირია რეგიონში, ხოლო მწვანილი, როგორცაა ოხრახუმი (*Petroselinum crispum*), ქინძი (*Coriandrum sativum*), ტარხუნა (*Artemisia dracunculus*), ბაღის ქონდარი (*Satureja hortensis*), წიწმბი (*Lepidium sativum*), კამა (*Anethum graveolens*), დიდი კამა (*Foeniculum vulgare*), ნიახური (*Apium dulce*), ბაღის არჯაკელი *Lathyrus odoratus*, სელი *Linum usitatissimum*, იონჯა *Medicago sativa*, ესპარცეტი *Onobrychis transcaucasica*, მინდვრის ბარდა *Pisum arvense*, ულუმბო *Trigonella caerulea* თითქმის ყველგანაა. ამის გარდა, შემოტანილი სახეობებიდან, ცუკინი (*Cucurbita pepo*), კიტრი (*Cucumis sativus*), ბადრიჯანი (*Solanum melongena*), ყვითელი ყვავილი (*Tagetes patula*), ნესვი (*Citrullus lanatus*), მზესუმზირა (*Helianthus annuus*), პომიდორი (*Solanum lycopersicum*, წიწკა (*Capsicum annuum*), კარტოფილი (*Solanum tuberosum*) და სიმინდი (*Zea mays*) უკვე ადგილობრივი სამზარეულოს ჩვეულებრივი ინგრედიენტებად იქცნენ (Bussmann et al. 2014). ამ მრავალფეროვნების შენარჩუნება დღეს მოსავლის უზრუნველყოფის გლობალური პრობლემაა (Kan et al. 2015). წეკო *Nicotiana rustica* დიდი ხანია კულტივირდება და საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება, მაღალმთაშიც კი. ნამდვილი თამბაქო *N. tabacum*, საბჭოთა პერიოდში შემოვიდა კომერციული წარმოებისთვის (Bussmann et al. 2014).

მრავალ ტრადიციულ ბალ-ბოსტნის სახეობებს შორის აღსანიშნავია ტყემალი (*Prunus cerasifera var. divaricata*) რომლის ხილისგან მზადდება ხორცის კერძების სანებელი, პანტის ენდემები და მსხლის ადგილობრივი ჯიშები (*Pyrus spp.*), რომელთა ხილისგან ხშირად ხდიან არაყს

(Asanidze et al. 2011), ასკილი (*Rosa canina*), სამკურნალო ჩაიდ და მურაბადაც, ჯონჯოლი *Staphyllea pinnata* სამწნილედ. ბევრი სახეობა იყიდება როგორც სამკურნალო საშუალება, რაც საქართველოს ფარმაცევტული ინდუსტრიის განვითარების გარკვეულ პოტენციალს აძლევს (Akkalkatsi et al. 2005).

1980-იან და 1990-იან წლებში ბევრი კვლევა ტარდებოდა საკარმიდამო ბალ-ბოსტნებში (Eyzaguirre and Linares 2004). შინა ბალ-ბოსტნები ხშირად მოიხსენიება, როგორც კულტურულ მცენარეთა გერმოპლაზმის მნიშვნელოვანი რეზერვუარები (Alcorn 1992, Merrick 1992, Poot Pool et al. 2015; Smith 1986). ბევრი შრომა მიუთითებს, რომ ეს ბალ-ბოსტნები უმთავრესად საკვების წყაროა და სამკურნალო მცენარეები მათში ცოტაა (Coomes and Ban 2004; Colunga-García and Zizumbo-Villarreal 2004). სამკურნალო მცენარეების კულტივირებას შეუძლია დაგვეხმაროს ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაციაში. ბუსმანმა და შარონმა (Bussmann and Sharon 2006) დაადგინეს, რომ პერუში ბევრი შემოტანილი სამკურნალო მცენარე მოყავდათ სანაპირო ზოლში, მაგრამ ადგილობრივი სამკურნალო მცენარეების უმეტესობას ბუნებაში აგროვებდნენ. ამის საპირისპიროდ, განსაკუთრებით ფართოდ ევრაზიაში, შინა ბალ-ბოსტნები მცენარეთა მრავალფეროვნების საცავის როლს ასრულებს და ერთმანეთს თესლის გაცვლის რთული ქსელის საშუალებით უკავშირდებიან (Das and Kumar Das 2015; Reyes-García et al. 2010, 2012, 2013; Vogl-Lujasser et al. 2010).

ჩვენ წარმოვადგენთ საქართველოში მცენარეთა გამოყენების კვლევას, რამდენადაც ამ მიმართულებით შრომები ცოტაა. ჩვენი ჰიპოთეზები შემდეგი იყო: (1) მცენარეთა გამოყენების ხანგრძლივი ტრადიციისა და საბჭოთა პერიოდში იზოლირების გამო, საქართველოში შინა ბალ-ბოსტნებზე მცენარეთა მოყვანა უფრო ძლიერად არის გამოხატული, ვიდრე სხვაგან და, (2) მიუხედავად ჯერ კიდევ ფართო გამოყენებისა, მცენარეების ტრადიციული ცოდნის გარკვეული ნაწილი იკარგება.

## მეთოდები

### ეთნობოტანიკური ინტერვიუები

სავლელ სამუშაოები ჩატარდა ხევსურეთში, სამცხე-ჯავახეთში, თუშეთში, სვანეთში და რაჭაში 2013-2014 წწ. ივლის-აგვისტოში და 2015 წ. სექტემბერ-ოქტომბერში. ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარებით გამოიკითხა

170 მონაწილე (80 ქალი და 90 კაცი), წინასწარ ვერბალური ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ. სამცხე-ჯავახეთში გამოიკითხა 34 მონაწილე (23 ქართულად, 10 სომხურად და 1 ბერძნულ-რუსულად მოსაუბრე). სვანეთსა და რაჭაში გამოიკითხა 63 მონაწილე (ყველა ქართულ-სვანურ დიალექტზე მოსაუბრე); ხევსურეთსა და თუშეთში 74 მონაწილე (ყველა ქართულ/ხევსურულ/თუშურ დიალექტზე მოსაუბრე). მონაწილეები შეირჩა ჯაჭვური მეთოდით, ვცდილობდით თანაბრად წარმოგვედგინა სქესი და ასაკობრივი ჯგუფები (13-93 წლის ასაკის). მაინც, მონაწილეთა უმრავლესობა 50 წელს გადაცილებული იყო, რადგან მივარდნილ სოფლებში ახალგაზრდობა ძალიან ცოტაა. ყველა გამოკითხვა ჩატარდა მონაწილის სახლსა და კარ-მიდამოში, ქართულად და ადგილობრივ (სვანურ, თუშურ, ხევსურულ, ფშაურ) დიალექტებზე მოსაუბრე მკვლევარების მიერ, ხოლო თუ მონაწილეების მშობლიური ენა სხვა იყო, მაშინ გამოკითხვა ტარდებოდა ბერძნულად, სომხურად და რუსულად, თარჯიმნების დახმარებით. საუბარს ვინყებდით ბალ-ბოსტნებიდან, ხოლო ველურ სახეობები თავისუფალი აღწერებით ჩაინერგებოდა. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს გააჩნია სრული ფლორა (Flora of Georgia Committee 1941-1952, 1971-2011; Gagnidze 2005; Makashvili 1991, 1952-1953), ასევე ბოტანიკური ლექსიკონი, სადაც საერთო ქართული სახელის გარდა მოცემულია მცენარის სახელი დიალექტებზე (Makashvili 1991). სახეობები პირდაპირ ველზე იდენტიფიცირდებოდა ამ ლიტერატურის გამოყენებით, ვაუჩერები გროვდებოდა და ინახება საქართველოს ეროვნულ ჰერბარიუმში (TBI). ყველა სახეობის ნომენკლატურა მიყვება ტროპიკოს APGIII-ს ([www.tropicos.org](http://www.tropicos.org)) (Angiosperm Phylogeny Group 2009). მცენარეთა შეგროვების ნებართვას ვიღებდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის მეშვეობით.

#### სტატისტიკური ანალიზები

##### **მონაწილეთა დაშორება – მცენარეების და მათი გამოყენების მიხედვით**

მონაწილეთა შორის დაშორებას ვითვლიდით არა-მეტრული მრავალგანზომილებიანი მასშტაბირებით (nMDS), ორი მატრიცის მიხედვით: პირველში სვეტები წარმოადგენდნენ მცენარეების ჩანერილ სახეობებს, მეორეში მცენარეთა გამოყენების კატეგორიებს. შედეგად მიიღებოდა ორდინაციები, რომლების წარმოსახავენ “მცენარეთა სივრცეს” და “გამოყენების

სივრცეს”. მონაწილეები, რომლებიც იმავე სახეობებს და მათი გამოყენების იმავე კატეგორიებს ასახელებენ, ამ სივრცეებში ერთმანეთის ახლოს ლაგდებიან. მიღებულ განლაგებებს ვარგებდით გარემოს სხვადასხვა ვექტორებს (სოფელი, ზღვის დონიდან სიმაღლე) და ფაქტორებს (სქესი, რეგიონი), რომ გვენახა, თუ რომელი მახასიათებელი ხსნის უკეთ მონაწილეთა განლაგებას ორდინაციის სივრცეებში. სტატისტიკურ მნიშვნელოვნებას ვითვლიდით 999 რანდომიზაციიდან R პროგრამის Vegan პაკეტით (Oksanen *et al.* 2015).

##### **მონაწილეთა კონსენსუსის ფაქტორი (IC ან FIC)**

მონაწილეთა კონსენსუსის ფაქტორი (FIC), ანუ მონაწილეთა კონსენსუსი (IC) (Phillips and Gentry 1993). მოცემული გამოყენების კატეგორიისთვის ითვლებოდა როგორც მოცემული გამოყენების ჩანანერის რიცხვს (Nur) გამოკლებული ტაქსონთა რაოდენობა (Nt) და გაყოფილი მოცემული გამოყენების ჩანანერის რიცხვს გამოკლებული 1:

$$IC = (Nur - Nt) / (Nur - 1).$$

##### **მცენარის შედარებითი მნიშვნელობა**

სახეობებს ვახარისხებდით შემდეგი ინდექსების მიხედვით: კულტურული მნიშვნელოვნების სიდიდე (CI). ესაა მონაწილეთა რიცხვი, რომლების მოცემული სახეობას ასხენებდა გამოყენების მოცემულ კატეგორიაში, გაყოფილი მონაწილეთა რიცხვზე, რომლებიც ამ სახეობას ასხენებდნენ. შემდეგია გამოყენების მრავალფეროვნება (UD), ესაა შანონის ინდექსი გამოთვლილი გამოყენების კატეგორიებისთვის. ამ გამოთვლებისთვის ვიყენებდით R პროგრამის პაკეტ Vegan-ს [56]. ვითვლიდით ასევე გამოყენების სიდიდეს (UV): ესაა მოცემული სახეობის ჩანანერთა ჯამი გაყოფილი გამოკითხულ მონაწილეთა საერთო რაოდენობაზე (Biscotti and Pieroni 2015).

##### **გეოგრაფიული რეგიონები და მცენარეთა წარმომავლობა**

მონაწილეები დავყავით სამ ნაწილად, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით (სვანეთი-რაჭა, თუშეთ-ხევსურეთი და სამცხე-ჯავახეთი) და შევადარეთ მცენარეები და მათი გამოყენება ამ რეგიონებს შორის, ასევე ზემოთ აღწერილი მეთოდით შევამოწმეთ მონაწილეთა ორდინაციული სივრცეების მორგება გარემოს მახასიათებლებზე ყოველ რეგიონში. გარემოს ფაქტორების მორგება რეგიონებს შორის რამდენამდე

განსხვავდებოდა: რეგიონში ფაქტორი იყო სოფელი და არა რეგიონი, ხოლო სამცხე-ჯავახეთსა და თუშეთ-ხევსურეთის რეგიონებში საკმარისად დაგროვდა მონაწილეები, რომ სქესის როლი შეგვემონებინა. ეს გეოგრაფიული დაჯგუფება ასევე გამოვიყენეთ კონსენსუსის ფაქტორის და მცენარეთა შედარებითი მნიშვნელობის გამოსათვლელად.

ჩვენ ასევე ცალ-ცალკე გავაანალიზეთ ბალ-ბოსტანში მოყვანილი და ტყეში შეგროვილი მცენარეები. ზემოთ აღწერილი მეთოდით, ჩვენ შევადარეთ რეგიონული სხვაობები მცენარეებსა და მათ გამოყენებას შორის, ასევე მცენარეთა შედარებითი მნიშვნელობა ბალ-ბოსტანის მცენარეებში. შევამოწმეთ გარემოს ცვლადების ეფექტი მონაწილეთა დაშორებაზე და ასევე კონსენსუსის ფაქტორის სხვაობები,

როგორც ბალ-ბოსტანის, ისე ტყის მცენარეებსა და მათს გამოყენებაზე.

## შედეგები

საკვლევ რეგიონებში ჩანერილ იქნა 480 მცენარის სახეობა, რომლებიც ეკუთვნოდა 249 გვარს და 95 ოჯახს (დამატებითი ფაილი 1). სამცხე-ჯავახეთში ჩავინერეთ 261 სასარგებლო მცენარე, ამათგან 160-ს ტყეში აგროვებდნენ, 81 ბალ-ბოსტანებში მოყავდათ და 20 ბოსტანშიც მოყავდათ და ტყეშიც აგროვებდნენ. სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ჩავინერეთ 203 სახეობა, ამათგან 99 ტყის, 73 ბალ-ბოსტანის და 35 ტყისა და ბალ-ბოსტანისა. სასარგებლო სახეობების ყველაზე მეტი რაოდენობა ჩანერილ იქნა თუშეთსა და ხევსურეთში (317, აქედან 197 ტყის, 73 ბალ-ბოსტანის და 47 ტყისა და ბალ-ბოსტანისა).

ცხრილი 1 მაღალი კულტურული მნიშვნელოვნების (CI-ს 95% პერცენტილი) სახეობები. მითითებულია რეგიონები, სადაც ეს ინდექსი მაღალია და, ასევე გამოყენების ნაირგვარობისა (UD) და გამოყენების სიდიდის (UV) ინდექსები. მსხვილი შრიფტით გამოყოფილია ამ ინდექსების სიდიდეები, თუ ისინი 95%-იან პერცენტილში ხვდებიან.

ლათინური	ქართული	CI	რეგიონული CI	UD	UV
<i>Juniperus hemisphaerica</i> C.Presl	ღვია	<b>3.00</b>	SR	1.10	0.02
<i>Lycoperdon perlatum</i> Pers. / <i>Lycoperdon pyriforme</i> Schaeff.	ფშუკურა	<b>2.50</b>	SR, TK	1.05	0.06
<i>Betula litwinowii</i> Doluch.	არყი	<b>2.13</b>	SK, TK	<b>3.04</b>	0.62
<i>Cannabis sativa</i> L.	კანაფი	<b>2.00</b>	SR, TK	1.24	0.23
<i>Viola</i> sp.	იაია	<b>2.00</b>	SK	0.69	0.06
<i>Polygonum carneum</i> C. Koch	დვალურა	<b>2.00</b>	TK	1.33	0.04
<i>Viscum album</i> L.	ფითრი	<b>2.00</b>	TK	0.69	0.04
<i>Juniperus oblonga</i> Bieb.	ღვია	<b>2.00</b>	SR	1.39	0.02
Indet sp. 28	დაუდგ. 28	<b>2.00</b>	SK	0.69	0.02
<i>Raphanus sativus</i> L. var. <i>major</i> (black)	შავი ბოლოკი ძაღლის	<b>2.00</b>	TK	0.69	0.02
<i>Aethusa cynapium</i> L.	ქინძი	<b>2.00</b>	TK	0.69	0.01
<i>Angelica tatiana</i> Bordz.	ანგელოზა	<b>2.00</b>	TK	0.69	0.01
<i>Beta vulgaris</i> L. (sugar beet)	ჭარხალი	<b>2.00</b>	SR	0.69	0.01
<i>Lapsana grandiflora</i> M. Bieb	ფურფურა	<b>2.00</b>	TK	0.69	0.01
<i>Sorbus torminalis</i> Crantz.	თამელი	<b>2.00</b>	SR	0.69	0.01
<i>Corylus avellana</i> L. / <i>C. pontica</i> K. Koch.	თხილი	<b>1.99</b>	SR	<b>1.72</b>	<b>1.15</b>
<i>Cichorium intybus</i> L.	ვარდკაჭაჭა	<b>1.93</b>	SR	<b>1.63</b>	0.17
<i>Sambucus ebulus</i> L.	ანწლი	<b>1.93</b>	SR	<b>2.18</b>	0.60
<i>Nicotiana rustica</i> L.	წეკო	<b>1.89</b>	TK	<b>1.81</b>	0.22
<i>Rosa canina</i> L.	ასკილი	<b>1.88</b>	SK	<b>1.69</b>	0.09
<i>Artemisia vulgaris</i> L.	მამულა	<b>1.80</b>	SR	1.52	0.07
<i>Castanea sativa</i> Mill.	წაბლი	<b>1.79</b>		<b>1.68</b>	0.26
<i>Pinus kochiana</i> Klotzsch ex K. Koch	ფიჭვი	<b>1.78</b>	SK, TK	<b>2.39</b>	<b>1.02</b>
<i>Acer platanoides</i> L.	ლეკა	<b>1.75</b>		1.15	0.04
<i>Matricaria chamomilla</i> L.	გვირილა	<b>1.70</b>	SK	<b>1.84</b>	0.23



ჩანერჩილი მცენარეები და მათი გამოყენება უმეტწილესად ერთნაირი იყო რეგიონებში, თუმცა განსხვავებებიც შეინიშნებოდა, განსაკუთრებით გამოყენების კატეგორიებში. სხვაობები უფრო შესამჩნევი იყო სვანეთ-რაჭასა და თუშეთ-ხევსურეთს შორის. სახეობების ყველაზე მეტი რაოდენობა და უნიკალური სახეობები ჩანერჩილ იქნა თუშეთსა და ხევსურეთში (ნახ. 2a).

მსგავსი იყო სურათი გამოყენების კატეგორიებშიც, სადაც თუშეთ-ხევსურეთი კიდევ უფრო გამოირჩეოდა (ნახ. 2b). ზღვის დონიდან სიმაღლე კარგად მოერგო სივრცითი ორდინაციებს, როგორც მცენარეების (ნახ. 3a,  $r^2 = 0.399$ ,  $p = 0.001$ ), ისე გამოყენებისა (ნახ. 3c,  $r^2 = 0.119$ ,  $p = 0.001$ ). მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვანი თანხვედრისა მცენარეებისა და მათი გამოყენების ჩანაწერებში რეგიონებს შორის, რეგიონისადმი კუთვნილება ასევე კარგად მოერგო ორდინაციის სივრცებს, მცენარეების სივრცეშიც (ნახ. 3b,  $r^2 = 0.398$ ,  $p = 0.001$ ) და გამოყენების სივრცეშიც (ნახ. 3d,  $r^2 = 0.233$ ,  $p = 0.001$ ). ამის საპირისპიროდ, სქესი არ იყო მნიშვნელოვანი მცენარეთა (ნახ. 4a,  $p = 0.313$ ,  $r^2 = 0.007$ ) ან გამოყენების (ნახ. 4b,  $p = 0.994$ ,  $r^2 = 0$ ) სივრცეში.


#### მონაწილეთა კონსენსუსი

ყოველ რეგიონში მონაწილეთა კონსენსუსი და გამოყენების ჩანაწერები მაღალი იყო საკვები


და სამკურნალო მცენარეების კატეგორიებში (ნახ. 5). სხვა კატეგორიები უფრო ცვალებადი იყო, ხელსაწყო-იარაღებისა და სამშენებლო კატეგორიებში მეტი ჩანაწერი დაგროვდა სვანეთ-რაჭაში, ასევე, გარკვეულად, თუშეთ-ხევსურეთშიც, ალბათ იმის გამო, რომ ეს რეგიონები უფრო დაცილებულია საქალაქო ცენტრებს. კულტურული გამოყენების კატეგორია ყველაზე ცვალებადი იყო: მაღალი თუშეთ-ხევსურეთში, დაბალი სვანეთ-რაჭაში და პრაქტიკულად არარსებული სამცხე-ჯავახეთში.

#### მცენარეთა შედარებით მნიშვნელობა


მცენარეთა მნიშვნელოვნების სამმა ინდექსმა საკმაოდ განსხვავებულად განაღაგა მცენარეები. მაღალი კულტურული მნიშვნელობა (CI, ცხრილი 1) მრავალგვარი სასიცოცხლო ფორმისა და კატეგორიების მცენარეებს აღმოაჩნდათ, მაგრამ ხშირად უმაღლესი CI-ის მქონე სახეობები სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა იყო, ასევე განსხვავდებოდნენ რეგიონულად მცენარეები, რომელთაც სხვებზე მეტი გამოყენება ჰქონდათ. გამოყენების ნაირგვარობით გამორჩეული სახეობები (მაღალი UD, ცხრილი 2) უმთავრესად მერქნიანი მცენარეები იყო. ამავე დროს, მაღალი CI-ის სახეობებისგან განსხვავებით, მაღალი UD-ს სახეობებს აღმოაჩნდათ შედარებით მაღალი UV.



ნახ. 2 მცენარეები (a) მათი გამოყენება (b) საქართველოს სამ შესწავლილ რეგიონში. შემოხაზული წრეები და მათი გადაიკვეთა შეესაბამება გამოკითხვების რაოდენობას




ნახ. 3 მონაწილეთა განლაგება მათი დაშორების მიხედვით ჩანერილი მცენარეებისა (a, b) და მათი გამოყენების (c, d) მიხედვით, მონაწილეთა სოფლის სიმაღლე ზღვის დონიდან მნიშვნელოვნად ხსნის ორდინაციას მცენარეთა და (B,  $r^2 = 0.399$ ,  $p = 0.001$ ) გამოყენების (E,  $r^2 = 0.119$ ,  $p = 0.001$ ) სივრცეებში. რეგიონი მნიშვნელოვნად ხსნის ორდინაციას როგორც მცენარეთა (C,  $r^2 = 0.398$ ,  $p = 0.001$ ) ისე გამოყენების (F,  $r^2 = 0.233$ ,  $p = 0.001$ ) სივრცეებში.



ნახ. 4 საქართველოს რეგიონების მსგავსების ამხსნელი გარემოს ფაქტორები მეტ-ნაკლებად მსგავსია. მონაცემთა ოთხ ნაკრებში (სამცხე-ჯავახეთი, სვანეთი-რაჭა, თუშეთ-ხევსურეთი და ყველა რეგიონი გაერთიანებულად), 4–5 გარემოს ფაქტორი (მონაწილის სქესი, მონაწილის ასაკი (მხოლოდ სამცხე-ჯავახეთსა და თუშეთ-ხევსურეთში), რეგიონი (მხოლოდ გაერთიანებულში), სოფლის სიმაღლე ზღვის დონიდან და სოფლის სახელი, როგორც კატეგორიული ცვლადი) ხსნიდა ორდინაციებს, რომელიც განლაგებდა მონაწილეთა იმის მიხედვით, თუ რა მცენარეებს ასახელებდნენ (a) და რა გამოყენების მიზნით (b). მნიშვნელოვნების P-სიდიდეები ნაჩვენებია ნიშანთა ზომით.

გამოყენების სიდიდით გამორჩეული სახეობები (მაღალი UV, ცხრილები 3 და 4) უფრო ხშირად გავრცელებული სამეურნეო და კულტურული სახეობებია, რომლებსაც მაღალი UV სიდიდე ახასიათებთ საქართველოს ყველა რეგიონში. ფაქტიურად, UV-ს ზრდა იწვევდა სწრაფ ზრდას იმ ალბათობისა, რომ მცენარე ბალ-ბოსტნის იყო და არა ტყისა, ასეთი ეფექტი CI-სა და UD-ს არ აღმოაჩნდათ (ნახ. 6).

ერთდროულად სამივე ინდექსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხეები და ბუჩქები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — ეს ეხება როგორც ველურ სახეობებს, როგორიცაა ფიჭვი *Pinus kochiana* (ყველა ინდექსის მიხედვით), არყი *Betula litwinowii* (ყველა რეგიონში), ღვია *Juniperus* species და თხილი *Corylus* სვანეთსა და რაჭაში, ანწლი *Sambucus ebulus*, მაჟალო *Malus domestica* და მსხალი *Pyrus communis* მაღალი UV-ს მიხედვით.




ნახ. 5 მონაწილეთა კონსენსუსის დამოკიდებულება გამოყენების კატეგორიების ჩანაწერთა რაოდენობაზე საქართველოს რეგიონებში

ცხრილი 2. მაღალი გამოყენების ნაირგვარობის (UD-ის 95% პერცენტილი) სახეობები. მითითებულია რეგიონები, სადაც ეს ინდექსი მაღალია და, ასევე კულტურული მნიშვნელობებისა (CI) და გამოყენების სიდიდის (UV) ინდექსები. მსხვილი შრიფტით გამოყოფილია ამ ინდექსების სიდიდეები, თუ ისინი 95%-იან პერცენტილში ხვდებიან.

ლათინური	ქართული	UD	რეგიონული UD	UV	CI
<i>Betula litwinowii</i> Doluch.	არყი	<b>3.04</b>	SR, TK, SK	0.62	<b>2.13</b>
<i>Pinus kochiana</i> Klotzsch ex K. Koch	ფიჭვი	<b>2.39</b>	TK, SK	<b>1.02</b>	<b>1.78</b>
<i>Juniperus sabina</i> L.	ღვია	<b>2.28</b>	SR	0.14	1.67
<i>Sambucus ebulus</i> L.	ანწლი	<b>2.18</b>	SR, SK	0.60	<b>1.93</b>
<i>Taraxacum officinale</i> Wigg.	ბურბუშელა	<b>2.14</b>	TK, SK	0.25	1.31
<i>Salix caprea</i> L.	მდგნალი	<b>2.05</b>	TK	0.24	1.19
<i>Viburnum opulus</i> L.	ძახველი	<b>1.93</b>	TK	0.29	1.50
<i>Inula helenium</i> L.	მზიურა	<b>1.84</b>	TK	0.10	1.56
<i>Matricaria chamomilla</i> L.	გვირილა	<b>1.84</b>	SR	0.23	<b>1.70</b>
<i>Nicotiana rustica</i> L.	ნეკო	<b>1.81</b>	TK	0.22	<b>1.89</b>
<i>Viburnum lantana</i> L.	უზანი	<b>1.81</b>	SR	0.51	1.38
<i>Acer trautvetteri</i> Medw.	ბოკვი	<b>1.79</b>		0.11	1.29
<i>Nicotiana tabacum</i> L.	თამბაქო	<b>1.79</b>	TK	0.14	1.64
<i>Carum carvi</i> L.	კვლიავი	<b>1.78</b>	TK	0.34	1.20
<i>Corylus avellana</i> L. / <i>C. pontica</i> K. Koch	თხილი	<b>1.72</b>	SR	<b>1.15</b>	<b>1.99</b>
<i>Agasyllis latifolia</i> (Bieb.) Boiss.	დუცი	<b>1.71</b>	TK	0.50	1.37
<i>Bunias orientalis</i> L.	ხატოტი	<b>1.70</b>	TK	0.16	1.47
<i>Rosa canina</i> L.	ასკილი	<b>1.69</b>	SK	0.09	<b>1.88</b>
<i>Castanea sativa</i> Mill.	წაბლი	<b>1.68</b>	SR	0.26	<b>1.79</b>
<i>Hypericum perforatum</i> L.	კრაზანა	<b>1.68</b>		0.13	1.55
<i>Picea orientalis</i> (L.) Peterm.	ნაძვი	<b>1.68</b>	SK	0.46	1.43
<i>Rhododendron caucasicum</i> Pall.	დეკა	<b>1.66</b>	TK	<b>0.79</b>	1.33
<i>Sedum caucasicum</i> Boriss.	კლდისდუმა	<b>1.64</b>		0.16	1.23
<i>Cichorium intybus</i> L.	ვარდკაჭაჭა	<b>1.63</b>		0.17	<b>1.93</b>
<i>Primula macrocalyx</i> Bunge	ფურისულა	<b>1.62</b>		0.12	1.29
<i>Vaccinium arctostaphylos</i> L.	მოცვი	<b>1.59</b>	SR	<b>0.77</b>	1.58

ცხრილი 3. მაღალი გამოყენების სიდიდის (UV-ის 95% პერცენტილი) სახეობები. მითითებულია რეგიონები, სადაც ეს ინდექსი მაღალია და, ასევე კულტურული მნიშვნელობებისა (CI) და გამოყენების ნაირგვარობის (UD) ინდექსები. მსხვილი შრიფტით გამოყოფილია ამ ინდექსების სიდიდეები, თუ ისინი 95%-იან პერცენტულში ხვდებიან.

ლათინური	ქართული	UV	რეგიონული UV	UD	CI
<i>Malus domestica</i> L.	ვაშლი	<b>1.55</b>	SR	0.32	1.12
<i>Pyrus communis</i> L.	პანტა	<b>1.54</b>	SR, SK	0.24	1.05
<i>Coriandrum sativum</i> L.	ქინძი	<b>1.16</b>	SR, SK, TK	0.41	1.18
<i>Corylus avellana</i> L. / <i>C. pontica</i> K. Koch.	თხილი	<b>1.15</b>	SR	<b>1.72</b>	<b>1.99</b>
<i>Allium victorialis</i> L.	ღანძილი	<b>1.14</b>	SK, TK	1.05	1.56
<i>Rubus idaeus</i> L.	ჟოლო	<b>1.14</b>	SK, TK	0.26	1.05
<i>Allium sativum</i> L.	ნიორი	<b>1.14</b>	SR, SK, TK	0.71	1.22
<i>Vitis vinifera</i> L.	ვაზი	<b>1.14</b>	SR	0.41	1.30
<i>Solanum tuberosum</i> L.	კარტოფილი	<b>1.11</b>	SK, TK	0.34	1.07
<i>Urtica dioica</i> L.	ჯინჯარი	<b>1.03</b>	TK	1.54	1.34
<i>Pinus kochiana</i> Klotzsch ex K. Koch	ფიჭვი	<b>1.02</b>	SK, TK	<b>2.39</b>	<b>1.78</b>
<i>Beta vulgaris</i> L.	ჭარხალი	<b>0.98</b>	SK, TK	0.20	1.05
<i>Cucumis sativus</i> L.	კიტრი	<b>0.97</b>	TK	0.42	1.07
<i>Anethum graveolens</i> L.	კამა	<b>0.96</b>	TK	0.09	1.02
<i>Brassica oleracea</i> L.	კომბოსტო	<b>0.93</b>	SK, TK	0.44	1.13
<i>Prunus x domestica</i> L.	ქლიავი	<b>0.93</b>	SR	0.46	1.19
<i>Daucus carota</i> L. ssp. <i>sativus</i>	სტაფილო	<b>0.92</b>	TK	0.00	1.00
<i>Phaseolus sativus</i> L.	ლობიო	<b>0.90</b>	SK	0.00	1.00
<i>Prunus divaricata</i> Ledeb.	ტყემალი	<b>0.82</b>	SK	0.37	1.09
<i>Trigonella caerulea</i> (L.) Ser.	ულუმბო	<b>0.81</b>	SR	0.71	1.30
<i>Rosa</i> sp.	ასკილი	<b>0.81</b>	SR	1.34	1.37
<i>Rhododendron caucasicum</i> Pall.	დეკა	<b>0.79</b>		<b>1.66</b>	1.33
<i>Vaccinium myrtillus</i> L.	მოცვი	<b>0.78</b>	TK	0.75	1.23
<i>Chenopodium album</i> L.	ნაცარქათამა	<b>0.77</b>		0.93	1.19
<i>Vaccinium arctostaphylos</i> L.	მაღალი მოცვი	<b>0.77</b>	SR	<b>1.59</b>	1.58
<i>Triticum aestivum</i> L.	ხორბალი	<b>0.76</b>		0.30	1.02



ნახ. 6 რაც უფრო მეტია გამოყენების სიდიდე (UV, მწვანე) მოცემული სახეობისთვის, მით მეტია ალბათობა, რომ ეს მცენარე, ბალ-ბოსტნიდანაა. მნიშვნელობების დანარჩენი ორი ინდექსისთვის — გამოყენების ნაირგვარობა (UD, ლურჯი) და კულტურული მნიშვნელობა (CI, წითელი) ასეთი დამოკიდებულება არ დასტურდება.

ცხრილი 4. სახეობები განლაგებული კულტურული მნიშვნელოვნების (CI) ინდექსის სიდიდის მიხედვით

ლათინური	ქართული	CI	რეგიონული UD	UV
<i>Solanum tuberosum</i> L.	კარტოფილი	1.15	0.58	1.14
<i>Allium victorialis</i> L.	ღანძილი	1.78	1.20	1.10
<i>Rubus idaeus</i> L.	ულო	1.12	0.52	1.10
<i>Pinus kochiana</i> Klotzsch ex K. Koch	ფიჭვი	2.48	2.57	1.07
<i>Raphanus sativus</i> L. var. <i>major</i>	ბოლოკი	1.00	0.00	0.99
<i>Cucumis sativus</i> L.	კიტრი	1.08	0.58	0.97
<i>Allium sativum</i> L.	ნიორი	1.00	0.08	0.97
<i>Betula litwinowii</i> Doluch.	არყი	2.28	2.79	0.96
<i>Vaccinium myrtillus</i> L.	მოცვი	1.26	0.85	0.94
<i>Daucus carota</i> L. ssp. <i>sativus</i>	სტაფილო	1.00	0.00	0.94
<i>Agasyllis latifolia</i> (Bieb.) Boiss.	დუცი	1.44	1.61	0.93
<i>Anethum graveolens</i> L.	კამა	1.00	0.00	0.90
<i>Urtica dioica</i> L.	ჭინჭარი	1.27	1.37	0.89
<i>Coriandrum sativum</i> L.	ქინძი	1.00	0.00	0.89
<i>Petroselinum crispum</i> (Mill.) Fuss.	ოხრახუმი	1.00	0.24	0.87
<i>Brassica oleracea</i> L.	კომბოსტო	1.00	0.00	0.83
<i>Chaerophyllum caucasicum</i> Schischk.	ღიმი	1.26	1.20	0.80
<i>Sorbus caucasigena</i> Kom.	ცირცელი	1.28	1.55	0.79
<i>Viburnum lantana</i> L.	უზანი	1.44	1.23	0.79
<i>Beta vulgaris</i> L.	ჭარხალი	1.06	0.21	0.79

#### ბალ-ბოსტანი და ტყეში შეროვება


სამივე რეგიონში ჩანერილი 480 სახეობიდან 282 ველურია, 103 ბალ-ბოსტნის, ხოლო 84 სახეობას აგროვებდნენ როგორც ტყეში, ისე ბალ-ბოსტანშიც მოყავდათ.

ბალ-ბოსტნის სახეობათა უმრავლესობა სამივე რეგიონში მოყავდათ, ხოლო რეგიონებს ახასიათებდათ ამ მცენარეების უმეტესილი თანხვედრა, მცირედი სხვაობებით გამოყენების კატეგორიებით, განსაკუთრებით თუშეთ-ხევსურეთში. სხვებზე მეტად გამოყენებული მცენარეებით გამოირჩეოდა სვანეთი და თუშეთი, მათი გეოგრაფიული იზოლირების გამო, აქ ყველაზე მეტი სახეობა იქნა ჩანერილი (ნახ. 7a), მათი გამოყენების უნიკალური კატეგორიებით (ნახ. 7b). რეგიონებსთვის დამახასიათებელი უნიკალური ბალ-ბოსტნის სახეობები ხშირად არ იყვნენ მნიშვნელოვანი სახეობები; გამონაკლისია შავი ბოლოკი *Raphanus sativus* var. *major* (შავი) და შოთხვი *Padus racemosa* თუშეთ-ხევსურეთში (ცხრილი 5), ომბალო *Mentha pulegium* სამცხე-ჯავახეთში (ცხრილი 6).

როგორც ბალ-ბოსტნის, ისე ტყის გამოყენებული მცენარეების თანხვედრას რეგიონებს შორის კარგად ხსნიდნენ გარემოს ფაქტორები, როგორცაა გეოგრაფია და რელიეფი (ნახ. 8). ეს ფაქტორები უკეთ ხსნიდნენ მონაწილეთა დაშორებას ტყის მცენარეების შემთხვევაში, ვიდრე ბალ-ბოსტნის მცენარეების შემთხვევაში (ნახ. 8a). მონაწილეთა სქესი არ თამაშობდა შესამჩნევ როლს მათს დაშორებაში.

#### მონაწილეთა კონსენსუსი ბალ-ბოსტნისა და ტყის სახეობებზე

მიუხედავად იმისა, რომ სხვაობები მონაწილეთა კონსენსუსში ბალ-ბოსტნისა და ტყის სახეობებზე მცირე იყო, მაინც აღმოვაჩინეთ საინტერესო თანხვედრები და სხვაობები რეგიონებს შორის (ნახ. 9). ყოველ რეგიონში, სამკურნალო მცენარეები უფრო ხშირად იყო ტყის და უფრო მაღალი კონსენსუსით, ვიდრე ბალ-ბოსტნისა. ამის საპირისპიროდ, საკვებ მცენარეები უფრო ხშირად იყო ბალ-ბოსტნის სახეობები და უფრო მაღალი კონსენსუსით, ვიდრე ტყისა, თუმცა სხვაობა ისეთი დიდი არაა, როგორც სამკურნალო მცენარეებში (ნახ. 9).




ნახ. 7 ბალ-ბოსტნის სახეობებისა (a) და მათი გამოყენების (b) თანხვედრა საქართველოს სამ საკვლევ რეგიონში. ელიპსები და მათი გადაკვეთა ჩანაწერების რაოდენობის პროპორციულია ყოველ რეგიონში.

ცხრილი 5 . მალალი კულტურული მნიშვნელოვნებისა (CI-ის 95% პერცენტილი) და გამოყენების სიდიდის (UV) სახეობები თუშეთ-ხევსურეთის ბალ-ბოსტნებში. შედარებისთვის, მითითებულია ამ მცენარეების CI ინდექსი სხვა რეგიონებში მსხვილი შრიფტით გამოყოფილია ამ ინდექსების სიდიდეები, თუ ისინი 95%-იან პერცენტილში ხვდებიან.

ლათინური	ქართული	თუშეთ- ხევსურეთი	სვანეთი- რაჭა	სამცხე- ჯავახეთი
<b>CI</b>				
<i>Nicotiana rustica</i> L.	წეკო	2.07	1.00	
<i>Raphanus sativus</i> L. var. <i>major</i> (black)	შავი ბოლოკი	2.00		
<i>Cannabis sativa</i> L.	კანაფი	2.00	2.00	
<i>Nicotiana tabacum</i> L.	თამბაქო	1.89	1.00	
<i>Juglans regia</i> L.	კაკალი	1.57	1.08	1.00
<i>Viburnum lantana</i> L.	უზანი	1.50	2.00	
<i>Padus racemosa</i> (Lam.) Gilib.	შოთხვი	1.33		
<b>UV</b>				
<i>Solanum tuberosum</i> L.	კარტიფილი	1.18	1.05	1.18
<i>Raphanus sativus</i> L. var. <i>major</i>	ბოლოკი	1.01	0.27	0.82
<i>Cucumis sativus</i> L.	კიტრი	1.00	0.95	1.00
<i>Allium sativum</i> L.	ნიორი	1.00	1.25	1.15
<i>Daucus carota</i> L. ssp. <i>sativus</i>	სტაფილო	0.97	0.87	0.97
<i>Anethum graveolens</i> L.	კამა	0.93	1.00	1.00
<i>Coriandrum sativum</i> L.	ქინძი	0.91	1.51	1.06

ცხრილი 6. მაღალი კულტურული მნიშვნელოვნებისა (CI-ის 95% პერცენტილი) და გამოყენების სიდიდის (UV) სახეობები სამცხე-ჯავახეთის ბალ-ბოსტნებში. შედარებისთვის, მითითებულია ამ მცენარეების CI ინდექსი სხვა რეგიონებში მსხვილი შრიფტით გამოყოფილია ამ ინდექსების სიდიდეები, თუ ისინი 95%-იან პერცენტილში ხვდებიან.

ლათინური	ქართული	სამცხე-ჯავახეთი	სვანეთი-რაჭა	თუშეთ-ხევსურეთი
<b>CI</b>				
<i>Morus alba</i> L.	თუთა	<b>3.00</b>		1.00
<i>Urtica dioica</i> L.	ჟინჭარი	<b>2.00</b>	1.00	1.00
<i>Mentha pulegium</i> L.	ბალის პიტნა	<b>1.44</b>		
<i>Sinapis arvensis</i> L.	მდოგვი	<b>1.33</b>	1.00	
<i>Staphylea colchica</i> Steven	ჯონჯოლი	<b>1.33</b>	1.00	1.00
<i>Brassica oleracea</i> L. (Broccoli)	ბროკოლი	<b>1.29</b>		1.00
<b>UV</b>				
<i>Phaseolus sativus</i> L.	ლობიო	<b>1.53</b>	0.68	0.84
<i>Beta vulgaris</i> L.	ჭარხალი	<b>1.32</b>	0.81	1.00
<i>Prunus divaricata</i> Ledeb.	ტყემალი	<b>1.32</b>	0.35	0.97
<i>Solanum tuberosum</i> L.	კარტოფილი	<b>1.18</b>	<b>1.18</b>	1.05
<i>Cucurbita pepo</i> L.	გოგრა	<b>1.18</b>	0.41	0.35
<i>Allium sativum</i> L.	ნიორი	<b>1.15</b>	<b>1.00</b>	1.25



ნახ. 8 გარემოს ცვლადების მიერ მცენარეთა (a) და მათი გამოყენების (b) სივრცეების ახსნის ძალა ყოველთვის მეტია ბალ-ბოსტანში მოყვანილი (მწვანე) ვიდრე ტყეში შეგროვილი (წითელი) მცენარეებისთვის. მნიშვნელოვნების P-სიდიდეები ნაჩვენებია ნიშანთა ზომით.

**ბალ-ბოსტნის მცენარეთა შედარებითი მნიშვნელობა**

ისევე, როგორც ყველა მცენარისთვის მთლიანობაში, მნიშვნელოვნების ინდექსებმა ბალ-ბოსტნის მცენარეები სხვადასხვაგვარად განალაგეს (ნახ. 9). მაღალი CI-ი სახეობებში მოხვდა ნაირგვარი სასიცოცხლო ფორმისა და

გამოყენების კატეგორიის სახეობები, მაშინ როცა მაღალი UV-ს სახეობები იყვნენ კარგად ცნობილი საკვები მცენარეები. გეოგრაფიული განსხვავებები გამოიკვეთა CI-ის მიხედვით, რომელშიც ხვდებოდნენ რეგიონისთვის დამახასიათებელი უნიკალური მცენარეები, მაშინ როცა მაღალი UV-ს მცენარეები საერთო

იყო სამივე რეგიონისთვის. მიუხედავად ამისა, CI-სა და UV-ს 95%-იანი პერცენტილის სახეობები თუმცა-ხევისურეთში (ცხრილი 5) ხშირად არ იყო იგივე, რაც სამცხე-ჯავახეთსა (ცხრილი 6) და სვანეთ-რაჭაში (ცხრილი 7). გარემო ფაქტორები ყოველთვის უფრო ნაკლებად ხსნიდნენ ბალ-ბოსტნის მცენარეების გამოყენებას, ვიდრე ტყის მცენარეებისას (ნახ. 8a) — ფაქტიურად,  $r^2$  სიდიდე ბალ-ბოსტნის მცენარეებში ორჯერ ჩამოუვარდებოდა იმავე ამ

ინდექსის სიდიდეს ტყის მცენარეებში. ეს ალბათ ასახავს ბალ-ბოსტნის სახეობების ჰომოგენურ შემადგენლობას, გამოწვეულს კულტურული მცენარეებისთვის ხელოვნურად შექმნილი ჰაბიტატის — ბალისა და ბოსტნის ჰომოგენურობის გამო, მაშინ როცა ველური სახეობები ბევრად უფროა დამოკიდებული გეოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ ცვალებადობაზე.



ნახ. 9. მონაწილეთა კონსენსუსის დამოკიდებულება გამოყენების კატეგორიების ჩანაწერთა რაოდენობაზე ბალ-ბოსტნისა და ტყის მცენარეებში.



ცხრილი 7. მაღალი კულტურული მნიშვნელოვნებისა (CI-ის 95% პერცენტილი) და გამოყენების სიდიდის (UV) სახეობები სვანეთი-რაჭის ბალ-ბოსტნებში. შედარებისთვის, მითითებულია ამ მცენარეების CI ინდექსი სხვა რეგიონებში მსხვილი შრიფტით გამოყოფილია ამ ინდექსების სიდიდეები, თუ ისინი 95%-იან პერცენტულში ხვდებიან.

ლათინური	ქართული	სვანეთი-რაჭა	თუშეთ- ხევსურეთი	სამცხე-ჯავახეთი
<b>CI</b>				
<i>Cannabis sativa</i> L.	კანაფი	<b>2.00</b>	<b>2.00</b>	
<i>Viburnum lantana</i> L.	უზანი	<b>2.00</b>	<b>1.50</b>	
<i>Capsicum annuum</i> L.	წინაკა	<b>1.80</b>	1.00	1.00
<i>Foeniculum vulgare</i> Mill.	დიდი კამა	<b>1.75</b>	1.00	1.00
<i>Secale cereale</i> L.	შვრია	<b>1.63</b>	1.00	1.00
<i>Allium sativum</i> L.	ნიორი	<b>1.53</b>	1.00	1.06
<b>UV</b>				
<i>Malus domestica</i> L.	ვაშლი	<b>3.05</b>	0.54	0.59
<i>Pyrus communis</i> L.	მსხალი	<b>2.94</b>	0.50	1.09
<i>Vitis vinifera</i> L.	ვაზი	<b>2.41</b>	0.09	0.94
<i>Coriandrum sativum</i> L.	ქინძი	<b>1.51</b>	<b>0.91</b>	1.06
<i>Trigonella caerulea</i> (L.) Ser.	ულუმბო	<b>1.44</b>	0.40	0.41
<i>Prunus avium</i> (L.) L.	ქლიავი	<b>1.44</b>	0.21	0.09

## შედეგების განხილვა

ჩვენს მიერ ჩანერილი მცენარეთა სახეობები და მათი გამოყენება, როგორც მთელ საქართველოში, ისე მის რეგიონებში, აშკარად უკავშირდება ხმელთაშუაზღვის კულტურულ კომპლექსს, რასაც ბისკოტი და პიერონი (Alarcón *et al.* 2015) აღწერენ როგორც “ფარულ ხმელთაშუაზღვრ დიეტას”. ჩვენ მიერ ჩანერილი სახეობების რაოდენობა, როგორც საქართველოსთვის მთლიანობაში, ისე მისი რეგიონებიდან, ბევრად აღემატება ხმელთაშუაზღვისპირეთსა და უფრო ფართოდ ევრაზიიდან გამოქვეყნებულ მცენარეთა სიებს, რომელთა შემადგენლობაში 44-დან 330 მცენარემდე ხვდებოდა (Cakilcioğlu *et al.* 2011; Cakilcioğlu and Turkoğlu 2010; Dogan *et al.* 2015; Dogan and Nedelcheva 2015; Ferrier *et al.* 2015; Guarrera and Savo 2015; Licata *et al.* 2016; Łuczaj and Dolina 2015; Łuczaj *et al.* 2012; 2015; Łuczaj and Szymański 2007; Menendez-Baceta *et al.* 2012; 2014; Molina *et al.* 2014; Mükemre *et al.* 2015; Pardo-de-Santayana *et al.* 2014.; Pieroni *et al.* 2014, 2015; Söukand and Pieroni 2016; Stryamets *et al.* 2015; Altundag and Öztürk 2011; Kaliszewska and Kołodziejka-Degórska 2015; Ghorbani 2005). ამათში, ყველაზე გრძელი სია შედგა მთელს იტალიაში ჩატარებული კვლევების კომპილაციით (Licata *et al.* 2016). თანაც, საქართველოში ბევრად ნაკლები მონაწილე გამოიკითხა, რადგან სოფლები თითქმის დაცლილი იყო და თითოეულში 1-2 მონაწილის გამოკითხვა თუ ხერხდებოდა. საქართველოს

მეზობელ დაღესტანშიც კი, კავკასიონის გადაღმა, რომლის კულტურული ისტორია ძალიან გავს თუშეთისას, ველურ მცენარეთა გამოყენება ბევრად უფრო მცირე იყო (სულ 24 სახეობა), თუმცა გამოყენების კატეგორიები ხშირად თანხვდებოდა (Ghorbani 2005). ამ სხვაობის ახსნა შეიძლებოდა დაღესტნელ მონაწილეთა მცირე რიცხვით (20, ისიც ერთადერთ სოფელში). თუმცა, თუშეთში, რომელიც ყველაზე შედარებადია დაღესტანთან, მონაწილეთა რიცხვი სულ ორჯერ მეტი იყო, თანაც დაღესტანში კვლევა გაცილებით მეტ ხანს გრძელდებოდა. მცენარეთა ბევრად უფრო უხვი გამოყენება საკვებად საქართველოში ალბათ შედეგია კავკასიაში მიწათმოქმედებისა და ბალ-ბოსტნების გაშენების ძალიან ხანგრძლივი ისტორიისა. საინტერესოა, რომ სამკურნალო მცენარეების რაოდენობა და გამოყენების კატეგორიები გაცილებით უფრო მეტად თანხვდებოდა რეგიონში ჩატარებულ სხვა შრომების შედეგებს (Dogan *et al.* 2015; Honda *et al.* 1996; Miraldi *et al.* 2001; Polat *et al.* 2013; Sezik *et al.* 2001; Tetik *et al.* 2013; Yeşilada *et al.* 1993, 1995, 1999; Murphy 2004). ისევ, თუ მონაწილეთა რაოდენობებს გავითვალისწინებთ, საქართველოში ჩანერილი სახეობების რაოდენობა შედარებადია სხვაგან მოკრებილ მონაცემებთან, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მაგალითად თურქეთში, მხოლოდ რამოდენიმე სოფელში ჩატარდა კვლევა. საქართველოს გარეთ გამოყენებული მცენარეების ყველაზე მარალი მრავალფეროვნება აღირიცხა

კატალონიის ერთ მცირე რეგიონში, სადაც 437 სახეობა იქნა ჩანერილი (Lo and Cullen 2005).

გამოყენების მაღალი სიდიდეები (UV) აღმოაჩინდათ არა ველურ, არამედ ბალ-ბოსტნის მცენარეებს, მაგ. ვაშლს *Malus domestica*, მსხალს *Pyrus communis*, ქინძს *Coriandrum sativum*, თხილს *Corylus avellana* / *C. pontica*, ლანძილს *Allium victorialis*, ვაზს *Vitis vinifera*; თანაც ბალ-ბოსტნის მცენარეები არა ნაკლებად იკვლევოდნენ სხვადასხვა გარემოში ველურ მცენარეებთან შედარებით. გარკვეულად ეს შეიძლება ასახავდეს კულტივირებული მცენარეების ფართო გეოგრაფიულ გავრცელებას, განსხვავებით ველური სახეობებისგან, რომლებიც გარკვეულ გარემოში გვხვდებიან. ეს გარემოება ასევე ხაზს უსვამს საქართველოს, როგორც მცენარეთა გაკულტურებისა და ჯიშების გამრავალფეროვნების ერთ-ერთი უძველესი ცენტრის მნიშვნელობას, საიდანაც ბევრი ძვირფასი კულტურა გავრცელდა მთელს დედამიწაზე.

უნიკალურია დეკას (*Rhododendron caucasicum*) ფოთლის გამოყენება ლუდისთვის ფერის მისაცემად და სამკურნალო ჩაიდ, მაშინ როცა ამ გვარის მცენარეები შხამიანად ითვლება ბერძნული და ჩინური წყაროების მიხედვით (Koca and Koca 2007; Pei 1989), რაც დასტურდება მონამვლის შემთხვევებითაც (Georgian and Emshwiller 2013). ამ გვარის (*Rhododendron*) მრავალფეროვნების ცენტრში ზოგიერთი სახეობის საკვებად და სამკურნალოდ გამოყენებაც არის აღწერილი (Hart and Salick 2017; Akhalkatsi et al. 2006). დეკას, ამ საკმაოდ გავრცელებული სახეობის დაცვა, გადამწყვეტი აღმოჩნდა ტყის ზედა საზღვრისთვის, რომელსაც არყი *Betula litwinowii* ქმნის (Feshani et al. 2011).

დეკას მსგავსად, საქართველოში მცენარეთა გამოყენების ძალიან საინტერესო ასპექტია მეტად შხამიანად ცნობილი მცენარეების ფოთლების საკვებად გამოყენება, ასეთებია დიყი *Heracleum* sp., კონიო *Conium maculatum*, თეთრყვავილა *Galanthus* sp., შროშანი *Lilium* sp. და კარტოფილის *Solanum tuberosum* ფოთოლიც კი. ეს მიუთითებს ადგილობრივი ველური და კულტურული ფლორის ცოდნისა და გამოყენების ხანგრძლივ ისტორიას, რის შედეგადაც მაცხოვრებლებს უკვე შეუძლიათ ზედმინწევნიტ გამოიყენონ სასარგებლო რესურსები, განსაკუთრებით ხანგრძლივი ზამთრის შემდეგ. მონაწილეები ამბობდნენ, რომ მათ იციან ამ მცენარეების შხამიანობა და

რომ ასეთ მცენარეებს ყოველთვის საგულდაგულო და ფრთხილი მომზადება სჭირდება შხამის გასანიტრალეზად: ხანგრძლივი დუღილი, წყლის ხშირი გამოცვლა, დიდი რაოდენობის სხვა მცენარეებთან შერევა და ა.შ. ეს შხამიანი მცენარეები ყოველთვის ადრე გაზაფხულზე გამოიყენებოდა, როცა გრძელი ზამთრის შემდეგ მწვანე საკვების დეფიციტი იქმნება. ამას გარდა, მხოლოდ ნორჩი ფოთლები მოიხმარება. ზოგ — განსაკუთრებით, დიყის — შემთხვევაში, მცენარული მასალა დიდხან იხარშება, წყალი იღვრება, მცენარულ მასას კი ემატება მარილი და ძმარი, რაც შხამს აცლის და ანიტრალეზს. ეს ჩვეულება პოტენციურად შხამიანი მცენარეების საკვებად გამოყენებისა, როგორც ჩანს, მაღალი მთის იზოლირებულ სოფლებში განვითარდა, სადაც გაზაფხულზე ნედლი მცენარული საკვები იშვიათობაა. მონაწილეთა თქმით, ეს ჩვეულება გაქრა, როგორც კი მწვანე მცენარული საკვები ხელმისაწვდომი შეიქმნა გაზაფხულობით, გზების გაყვანის ან ზამთარში ბარში გადასახლების გამო.

მუხის *Quercus iberica* რკოს საკვებად გამოყენების ადრინდელი ტრადიცია ქართულ ჩვეულებებს ხმელთაშუაზღვის ტრადიციებთან აკავშირებს, მაგალითად, სხვადასხვა სახეობის მუხის რკოს საკვებად იყენებდნენ თურქეთში პრეისტორიული დროიდან (Mason and Nesbitt 2009). ძალიან ცოტაა მონაცემები კავკასიის ენდემებისა ფიტოქიმიისა და სამკურნალო ეფექტურობის შესახებ. თუმცა, მაღალი მოცვის *Vaccinium arctostaphylos* კვლევა აჩვენებს გარკვეულ ეფექტურობას დიაბეტის წინააღმდეგ (Akhalkatsi et al. 2007). ამის გარდა, არის მონაცემების ტყის ნივრის და ლანძილის ფიტოქიმიის შესახებ (Akhalkatsi et al. 2007).

## დასკვნები

ძველი ჯიშების გენეტიკური ეროზია საქართველოს მთიან რეგიონებში, რომელიც 1990-იან წლებამდე ტრადიციული ჯიშების საცავის როლს ასრულებდა, ბოლო დრომდე განგაშს არ იწვევდა. დღესდღეობით ძველი ჯიშების გენეტიკური ეროზიის მთავარი მიზეზია მთიანი რეგიონების დემოგრაფიული კრიზისი, გამოწვეული მძიმე ეკონომიური პირობებითა და ინფრა-სტრუქტურის განუვითარებლობით (Bussmann et al. 2014; Akhalkatsi et al. 2010; 2012; Nakhutsrishvili et al. 2009; Maurer 2015; Barthel et al. 2010; Reyes-García et al. 2014). ძველიდან ახალ, მოსავლიან კულტურებზე გადასვლა, როგორცაა სიმინდი და კარტოფილი, რაც

ბარში უფრო ადრე მოხდა, მთის სოფლებშიც დაიწყო საბჭოთა ოკუპაციის დასრულების შემდეგ, როცა ბარში ძალით ჩამოსახლებულმა მთიელებმა მთაში აბრუნება დაიწყეს. მსგავსი პროცესები ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიცაა აღწერილი Reyes-García *et al.* 2014). ძველიდან ახალ, მოსავლიან კულტურებზე. ამას გარდა, მთაში აბრუნება ნაწილობრივ მოხდა — ზოგი ოჯახი ზაფხულს მაინც ატარებს მთაში, მაშინ როცა უამრავი სოფელიდან ნაწილობრივად დარჩენილი. შემორჩენილ სოფლებში შინამეურნეობის საგნები, მაგალითად, კარაქის სადღვეები ხშირად შემონახულია, მაგრამ აღარ გამოიყენება. პატარა ხიდები ჯერ კიდევ იგება ხისგან, მაგრამ ხისგან დამზადებულ ბევრ სხვა ნივთს, როგორცაა მოჩუქურთმებული სანოლის თავები, კიდობნები და კარადები, ყრიან. ზოგი ტრადიციულად დამზადებული ნივთი, როგორცაა თხილამურები ან ცოცხები ჯერ კიდევ გამოიყენება. მიწათმოქმედების იარაღებს, როგორცაა ფოცხი, ხშირად შევსდებით მიტოვებულ საბძლებში, მაგრამ სხვა ნივთები, მაგალითად, კვერი, მხოლოდ მუზეუმებში-და გვხვდება (Bussmann *et al.* 2014). საბჭოთა დროის ძალიან დიდი ცხვრის ფარებიდან, რაც ჭარბი ძოვების მიზეზი იყო, დღეს გაცილებით მცირე ნაწილია შემორჩენილი და სოფლებში ტრადიციული შალის ნაწარმი არც ისე იოლი სანახავია. თუმცა ტურისტებისთვის განკუთვნილი ნახელავი უხვად იყიდება გზიპირებზე, თბილისის შემოგარენსა და, მაგალითად, ბორჯომისა და ბარისახოსკენ მიმავალ გზებზე. სამწუხაროდ, ქერის (*Hordeum*) მოყვანის თითო-ორი შემთხვევის დამონება შევძელით სვანეთში, თუმცა ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ადრე ძველი ადგილობრივი ჯიშის ხორბალსა და ქერს ამჯობინებდნენ სარიტუალო პურის გამოსაცხოხად და ლუდის მოსახარშად. მთელს საქართველოში იოლი დასანახია მიტოვებული ტერასები მთის ფერდობებზე, სადაც ადრე მარცვლეული მოყავდათ. ბევრ მიტოვებულ საბძლებში ჯერ კიდევ ნახავთ მარცვლის შესანახ გოდრებს, ტირიფის (*Salix sp.*) წნელით მოწნულსა და თიხით შელესილს, რომლებშიც მარცვლიც არის ხოლმე შემორჩენილი. ჩვენს მიერ შესწავლილ სოფლებში ქერი უკვე ათწლეულებია აღარ მოყავთ. ერთ მიტოვებულ საბძელში კიდობანი ნახევრად სავსე იყო შვრიით, რომელიც 1970-იან წლებში აიღეს, მიტოვებულ სახლში კი ჯერაც ეყარა ხორბლის ქათო. დღეს სოფლის მაცხოვრებლები ფქვილს ყიდულობენ არცის გამოსახდელად ან პურის გამოსაცხოხად, მალაზიებშივე შეიძლება

ქარხნულად დამზადებული ლუდის მოსახარში ნარევების ყიდვა (Bussmann *et al.* 2014).

ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში, თბილისში, დაარსებულია თესლის დიდი ბანკი, სადაც *in situ* მოყავთ ხორბლის *Triticum* და ფეტვის *Panicum*, *Sorghum* იშვიათი ადგილობრივი სახეობები და ჯიშები, ასეთივე პროგრამა ხორციელდება თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სადაც ასე მოყვანილი ღომის ღომითა და ტყემლით უმასპინძლებიან მნახველებს; ბოლო ათწლეულში დაწყებულია გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ სამკურნალო მცენარეების საკონსერვაციო პროექტი (Nakhutsrishvili *et al.* 2009).

ბალ-ბოსტნები საქართველოში, ისევე როგორც სხვაგან, ემსახურება სოციო-ეკოლოგიურ მეხსიერებას (Schunko *et al.* 2015; Quave and Pieroni 2014) და, როგორც ასეთი, შეუცვლელია ქართული კულტურის შენარჩუნებაში: საქართველოში ესაა კულტურის გადარჩენა და არა ბალ-ბოსტნების პოპულარობის საერთო ზრდის უბრალო ანარეკლი, როგორც ამას მსოფლიოს სხვა კუთხეებში ვხედავთ (Gottfried *et al.* 2012; Pauli *et al.* 2012). საქართველოს კავკასიაში მრავალფეროვანი მცენარეების გამოყენებას მართლაც შეუძლია სასურსათო უსაფრთხოებაში წვლილი შეტანა, როგორც ეს ხდება, მაგალითად, ბალკანეთში (Pauli *et al.* 2012), მაგრამ, კლიმატის ცვლილება უკვე ახდენს უარყოფით ზემოქმედებას და ემუქრება როგორც ბუნებრივ, ისე ბალ-ბოსტნების სახეობრივ მრავალფეროვნებას კავკასიაშიც და მთელს ევრაზიის კონტინენტზე (Wilkinson 2011).

## დამატებითი ფაილი

Additional file@ @ @

**სამადლობელი:** ავტორები ემადლიერებიან ყველა მონაწილეს გულუხვი სტუმართმოყვარეობისა და მეგობრული დამოკიდებულებისთვის. გვაქვს იმედი, რომ ეს და შემდგომი კვლევები დაეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას თავიანთი საჭიროებებისა და მისწრაფებების შესრულებაში.

**დაფინანსება:** ამ კვლევამ მიიღო William L. Brown Center Endowment Funds-ის ფინანსური მხარდაჭერა. თვით დამფინანსებელ ორგანიზაციას არ ჰქონია რაიმე პირდაპირი როლი ამ კვლევის დაგეგმვაში, მონაცემთა მოკრებასა და ანალიზში ან შედეგების გამოყენებაში.

**მონაცემებისა და მასალების წვდომა**

ჩანაწერების დედნები შეიცავს ყველა მონაწილის სახელსა და გვარს და ამ ფორმით არ შეიძლება გავრცელდეს.

**ავტორთა წვლილი:** რვბ, ნირს, შს, ზკ, დქ, დქ და ქბ: კვლევის დაგეგმვა; რვბ, ნირს, შს, ზკ, დქ და ქბ: საველე სამუშაო, რეკ: სტატისტიკური ანალიზები; რვბ, ნირს და რეკ: მონაცემთა ანალიზი და ხელნაწერის მომზადება; ყველა ავტორმა წაიკითხა, გაასწორა და მიიღო ხელნაწერის საბოლოო ტექსტი.

**ინტერესთა კონკურენცია:** ავტორები აცხადებენ, რომ მათ არ აქვთ კონკურენტული ინტერესები.

**გამოქვეყნების ნებართვა:** ეს ხელნაწერი არ შეიცავს რომელიმე კერძო პირის მონაცემებს და არ საჭიროებს გამოქვეყნების ნებართვას.

**ეთიკის დაცვა და მონაწილეობაზე თანხმობა:** გამოკითხვის დაწყებამდე, ყოველი მონაწილისგან ვიღებდით ვერბალურ ინფორმირებულ თანხმობას, რაც აღარ საჭიროებდა ეთიკის დამატებით დაცვას.

**ლიტერატურა**

Adler DS, Bar-Oz G. Seasonal patterns of prey acquisition during the Middle and Upper Paleolithic of the southern Caucasus. In: Hublin JJ, Richards M., editors. The evolution of hominid diets: Integrating approaches to the study of Palaeolithic subsistence. Leipzig: Springer; 2009. p. 127-140.

Akhalkatsi M, Abdaladze O, Nakhutsrishvili G, Smith WK. Facilitation of seedling microsites by *Rhododendron caucasicum* extends the, *Betula litwinowii* Alpine treeline, Caucasus mountains, Republic of Georgia. Arct Antarct Alp Res. 2006;38(4):481-488.

Akhalkatsi M, Ekhvaia J, Asanidze Z. Diversity and Genetic Erosion of Ancient Crops and Wild Relatives of Agricultural Cultivars for Food: Implications for Nature Conservation in Georgia (Caucasus). In: Tiefenbacher J., editor. Perspectives on Nature Conservation - Patterns, pressures and prospects. InTech: Croatia; 2012. p. 51-92.

Akhalkatsi M, Ekhvaia J, Mosulishvili M, Nakhutsrishvili G, Abdaladze O, Batsatsashvili K. Reasons and processes leading to the erosion of crop genetic diversity in mountainous regions of Georgia. Mt Res Dev. 2010;30(3):304-310.

Akhalkatsi M, Fritsch RM, Maisaiac I, Nakhutsrishvilia G, Pistrick K. Habitats of *Allium* species in Georgia. Keusgen M, Fritsch RM., editors. Proceedings of the first Kazbegi workshop on

„Botany, taxonomy and phytochemistry of wild *Allium* L. species of the Caucasus and Central Asia,“ June 4-8; 2007. p. 45-52

Akhalkatsi M, Girgvliani T. Landraces and wild species of the *Secale* genus in Georgia (Caucasus ecoregion). Agr Res Tech. 2016;1(4).

Akhalkatsi M, Kimeridze M, Maisaia I, Mosulishvili M. Flawless Profits. Cauc Env. 2005;4(13):34-37.

Akhalkatsi M, Mosulishvili M, Kimeridze M, Maisaia I. Conservation and sustainable utilization of rare medicinal plants in Samtskhe-Javakheti. Tbilisi; 2008. p. 1-200.

Akhalkatsi M. Conservation and sustainable use of crop wild relatives in Samtskhe-Javakheti, Final Report GSNE Orchis: Tbilisi; 2009. p. 1-154.

Akhalkatsi M, Tarkhnishvili D. Habitats of Georgia, Tbilisi; 2012. p. 1-118.

Alcorn JB. 1992. Indigenous agroforestry systems in the Latin American tropics. In: Altieri MA, Hecht SB., editors. Agroecology and small farm development. CRC Press: Boston; 1992. p. 203-218.

Altundag E, Ozturk M. Ethnomedicinal studies on the plant resources of east Anatolia, Turkey. Proc Soc Behavi Sci. 2011;19:756-777.

Asanidze Z, Akhalkatsi M, Gvritishvili M. Comparative morphometric study and relationships between the Caucasian species of wild pear (*Pyrus* spp.) and local cultivars in Georgia. Flora. 2011;206:974-986.

Badr A, Müller K, Schäfer-Pregl R, El Rabey H, Effgen S, Ibrahim HH, Pozzi C, Rohde W, Salamini F. On the origin and domestication history of barley (*Hordeum vulgare*). Mol Biol Evol. 2000;17(4):499-510.

Barthel B, Folke C, Colding J. Social-ecological memory in urban gardens - Retaining the capacity for management of ecosystem services. Global Env Change. 2010;20:255-265.

Bedoshvili D. National report on the state of plant genetic resources for food and agriculture in Georgia. Ministry of Agriculture: Tbilisi; 2008. [http://www.pgrfa.org/gpa/geo/Georgian report on State of PGR Sep 29, 2008.pdf](http://www.pgrfa.org/gpa/geo/Georgian%20report%20on%20State%20of%20PGR%20Sep%2029,%202008.pdf).

Bussmann RW, Paniagua-Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Jinjikhadze T, Shanshiashvili T, Chelidze D, Batsatsashvili K, Bakanidze N. Wine, Beer, Snuff, Medicine and loss of diversity – Ethnobotanical travels in the Georgian Caucasus. Ethnobot Res Appl 2014;12:237-313.

- Bussmann RW, Sharon D. Traditional plant use in Northern Peru: Tracking two thousand years of health culture. *J Ethnobiol Ethnomed.* 2006;2:47.
- Castañeda-Álvarez NP, Khoury CK, Achicanoy HA, Bernau V, Dempewolf H, Eastwood RJ, Guarino L, Harker RH, Jarvis A, Maxted N, Müller JV, Ramirez-Villegas J, Sosa CC, Struik PC, Vincent H, Toll J. Global conservation priorities for crop wild relatives, *Nature Plants*: 2016; doi: 10.1038/NPLANTS.2016.22.
- Colunga-García MP, Zizumbo-Villarreal D. Domestication of plants in Maya lowlands. *Econ Bot.* 2004;58(Supplement):101-110.
- Coomes OT, Ban N. Cultivated plant species diversity in home gardens of an Amazonian peasant village in northeastern Peru. *Econ Bot.* 2004;58:420-434.
- Das T, Kumar Das A. Conservation of Plant Diversity in Rural Homegardens with Cultural and Geographical, Variation in Three Districts of Barak Valley, Northeast India. *Econ. Bot.* 2015;69(1):57-71.
- Dekaprevich L, Menabde V. Kizucheniu polevykh kultur zapadnoi Gruzii. I. Racha. (Study of cereal cultivars in Georgia. I. Racha). *Scientific Papers of the Applied Sections of the Tbilisi Botanical Garden* 1929;6(2):219-252. (In Russian).
- Dogan Y, Nedelcheva A, Łuczaj Ł, Drăgulescu C, Stefkov G, Maglajlić A, Ferrier J, Papp N, Hajdari A, Mustafa B, Dajić-Stevanović Z, Pieroni A. Of the importance of a leaf: the ethnobotany of sarma in Turkey and the Balkans. *J Ethnobiol Ethnomed.* 2015;11:26.doi:10.1186/s13002-015-0002-x.
- Dogan Y, Nedelcheva A. Wild plants from open markets on both sides of the Bulgarian-Turkish border. *Ind J Trad Know.* 2015;14(3):351-358.
- Ekhvaia J, Akhalkatsi M. Morphological variation and relationships of Georgian populations of *Vitis vinifera* L. subsp. *sylvestris* (C.C. Gmel.) Hegi. *Flora.* 2010;205:608-617.
- Eyzaguirre PB, Linares OF., editors. *Home Gardens and Agrobiodiversity.* Smithsonian Books: Washington DC; 2004.
- Ferrier J, Saciragic L, Trakić S, Chen ECH, Gendron RL, Cuerrier A, Balick MJ, Redžić S, Alikadić E, Arnason JT. An ethnobotany of the Lukomir Highlanders of Bosnia & Herzegovina, *J Ethnobiol Ethnomed.* 2015;11:81. doi 10.1186/s13002-015-0068-5.
- Feshani AM, Kouhsari SM, Mohammadi S. *Vaccinium arctostaphylos*, a common herbal medicine in Iran: Molecular and biochemical study of its antidiabetic effects on alloxan-diabetic Wistar rats. *J Ethnopharmacol.* 2011;133:67-74.
- Finlayson C. Biogeography and evolution of the genus *Homo*. *Tr Ecol Evol.* 2005;20(8):457-463.
- Gabunia L, Vekua A, Swisher CC, Ferring R, Justus A, Nioradze M, Ponce de Leon M, Tappen M, Tvalchrelidze M, Zollikofer C. Earliest Pleistocene hominid cranial remains from Dmanisi, Republic of Georgia: taxonomy, geological setting, and age. *Science* 2000;288(5578):85-89.
- Gabunia L, Vekua AA. Plio-Pleistocene hominid from Dmanisi, East Georgia, Caucasus. *Nature* 1995;373(6514):509-512.
- Georgian E, Emswiller E. Shared and Separate Knowledge Among Eight Cultural Groups Based on Ethnobotanical Uses of *Rhododendron* (Ericaceae) in Yunnan Province, China. *Econ Bot* 2013;67:191-202
- Ghorbani A. Studies on pharmaceutical ethnobotany in the region of Turkmen Sahra, north of Iran, (Part 1): General results. *J Ethnopharmacol.* 2005;102:58-68.
- Gottfried M, Pauli H, Futschik A, Akhalkatsi M, Barancok P, Benito Alonso JL, Coldea G, Dick J, Erschbamer B, Fernández Calzado MR, Kazakis G, Krajc J, Larsson P, Mallaun M, Michelsen O, Moiseev D, Moiseev P, Molau U, Merzouki A, Nagy L, Nakhutsrishvili G, Pedersen P, Pelino G, Puscas M, Rossi G, Stanisci A, Theurillat JP, Tomaselli M, Villar L, Vittoz P, Vogiatzakis I, Grabherr G. Continent-wide response of mountain vegetation to climate change. *Nature Climate Change*, 2012. doi:10.1038/NCLIMATE1329.
- Guarrera A, Savo V. Wild food plants used in traditional vegetable mixtures in Italy. *J Ethnopharmacol.* 2015;185:202-234.
- Hart R, Salick J. 2017. Dynamic ecological knowledge systems amid changing place and climate: Mt. Yulong rhododendrons. *J Ethnobiol.* 37(1):21-36.
- Honda G, Yeilada E, Tabata M, Sezik E, Fujita T, Takeda Y, Takaishid AY, Tanakae T. Traditional medicine in Turkey VI. Folk medicine in West Anatolia: Afyon, Kiitahya, Denizli, Mugla, Aydin provinces. *J Ethnopharmacol.* 1996;53:75-87.

- Javakhishvili I. Sakartvelos ekonomiyuri istoria (Economic History of Georgia), (Ed. 2), Vol.5. Metsniereba: Tbilisi; 1987. (In Georgian).
- Kaliszewska I, Kołodziejska-Degórska I, 2015. The social context of wild leafy vegetables uses in Shiri, Daghestan. *J Ethnobiol Ethnomed.* 2015;11:63. doi:10.1186/s13002-015-0047-x.
- Kan M, Küçükçongar M, Keser M, Morgounov A, Muminkanv A, Özdemir F, Qualset C. Wheat landraces in farmer's fields in Turkey. Food and Agricultural Organization of the United Nations: Ankara; 2015.
- Ketskhoveri N, Ramishvili M, Tabidze D. Sakartvelos ampelografia. (Amphelography of Georgia). Georgian Academy of Sciences Press: Tbilisi; 1960. (In Georgian).
- Ketskhoveri N. Kulturul mtsenareta zonebi sakartveloshi (Zones of cultivated plants in Georgia). Georgian Academy of Sciences Press: Tbilisi; 1957. (In Georgian).
- Ketskhoveri N. Masalebi kulturul mtsenareta zonalobis shesastsavlav kavkasionze. (Materials on zonal distribution of cultivated plants in the Greater Caucasus). Agricultural National Committee Press: Tbilisi; 1928. (In Georgian).
- Ketskhoveri N. Plant cover of Georgia. Metsniereba: Tbilisi; 1960. (ბ. კეცხოველი „საქართველოს მცენარეული საფარი“ 1960.).
- Kikvidze Z, Tevzadze G. 2014. Loss of traditional knowledge aggravates wolf-human conflict in Georgia (Caucasus) in the wake of socio-economic change. *Ambio.* 2014. doi:10.1007/s13280-014-0580-1.
- Kimeridze M, Akhalkatsi M. Forest legislation in relation to biodiversity conservation in Georgia. In: Schmithüsen F, Herbst P, Nonic D, Jovic D, Stanisic M., editors *Legal Aspects of European Forest Sustainable Development.* Forstwiss Beitr. 2006;35:176-181.
- Koca I, Koca AF. Poisoning by Mad Honey: A Brief Review. *Food Chem Toxicol.* 2007;45:1315-1318.
- Licata M, Tuttolomondo T, Leto C, Virga G, Bonsangue G, Cammalleri I, Gennaro MC, La Bella S. A survey of wild plant species for food use in Sicily (Italy) - results of a 3-year study in four Regional Parks, *J Ethnobiol Ethnomed.* 2016;12:12. doi:10.1186/s13002-015-0074-7.
- Lo V, Cullen C. *Medieval Chinese Medicine.* Routledge: London; 2005.
- Łuczaj Ł, Dolina K. A hundred years of change in wild vegetable use in southern Herzegovina. *J Ethnopharmacol.* 2015;166:297-304.
- Łuczaj Ł, Pieroni A, Tardío J, Pardo-de-Santayana M, Söukand R, Svanberg I, Kalle R. Wild food plant use in 21st century Europe: the disappearance of old traditions and the search for new cuisines involving wild edibles. *Act Soc Bot Pol.* 2012. doi:10.5586/asbp.2012.031.
- Łuczaj Ł, Stawarczyk K, Kosiek T, Pietras M, Kujawa A. 2015. Wild food plants and fungi used by Ukrainians in the western part of the Maramureş region in Romania. *Act Soc Bot Pol.* 2015;84(3):339-346. doi:10.5586/asbp.2015.029.
- Łuczaj Ł, Szymański WM. Wild vascular plants gathered for consumption in the Polish countryside: a review. *J Ethnobiol Ethnomed.* 2007;3:17. doi:10.1186/1746-4269-3-17.
- Martkoplshvili I, Kvavadze E. Some popular medicinal plants and diseases of the Upper Palaeolithic in Western Georgia. *J Ethnopharmacol.* 2015;166:42-52.
- Mason S, Nesbitt M. Acorns as food in southeast Turkey: Implications for prehistoric subsistence in Southwestern Asia. In: Fairbairn, A.S., Weiss, W., editors. *From foragers to farmers.* Oxbow books: London; 2009. p. 71-85.
- Maurer M. Mensch und Umwelt in Kirgistan: Politische Ökologie im postkolonialen und postsozialistischen Kontext. *Mt Res Dev.* 2015;35(1):99-100.
- Melikishvili G., editor. *Sakartvelos istoriis narkvevebi (Historical essays of Georgia).* Tbilisi; 1970. (In Georgian).
- Menabde V. *Pshenitsi Gruzii (Wheats of Georgia).* Georgian Academy of Sciences Press: Tbilisi; 1948. (In Russian).
- Menabde V. *Sakartvelos kerebi (Barleys of Georgia).* Georgian Academy of Sciences Press: Tbilisi; 1938. (In Georgian).
- Menendez-Baceta G, Aceituno-Mata L, Molina M, Reyes-García V, Tardío J, Pardo-de-Santayana M. Medicinal plants traditionally used in the northwest of the Basque Country (Biscay and Alava), Iberian Peninsula. *J Ethnopharmacol.* 2014;152:113-134.
- Menendez-Baceta G, Aceituno-Mata L, Tardío J, Reyes-García V, Pardo-de-Santayana M. Wild edible plants traditionally gathered in Gorbeialdea

- (Biscay, Basque Country). *Genet Res Crop Evol.* 2012;59:1329-1347.
- Merrick LC. Crop genetic diversity and its conservation in traditional agroecosystems. In: Altieri MA, Hecht SB., editors. *Agroecology and small farm development.* CRC Press: Boston; 1992. p. 3-11.
- Miraldi E, Ferri S, Mostaghimi V. Botanical drugs and preparations in the traditional medicine of West Azerbaijan (Iran). *J Ethnopharmacol.* 2001;75:77-87.
- Molina M, Tardío J, Aceituno-Mata L, Morales R, Reyes-García V, Pardo-de-Santayana M. Weeds and food diversity: natural yield assessment and future alternatives for traditionally consumed wild vegetables. *J Ethnopharmacol.* 2014;34(1):44-67.
- Mükemre M, Behçet L, Çakılcıoğlu U. Ethnobotanical study on medicinal plants in villages of Çatak (Van-Turkey). *J Ethnopharmacol.* 2015;166:361-374.
- Murphy TM. *Pliny the Elder's Natural History.* Oxford University Press: Oxford; 2004.
- Nakhutsrishvili G, Akhalkatsi M, Abdaladze O. Main Threats to Mountain Biodiversity in Georgia. *Mt For Bull.* 2009;9(2):15-18.
- Nakhutsrishvili G. The vegetation of Georgia (Caucasus). *Braun-Blanquetia* 1999;5:1-74.
- Nakhutsrishvili G. *The Vegetation of Georgia (South Caucasus).* Stuttgart: Springer; 2012.
- Otte A, Akhalkatsi M, Nakhutsrishvili G, Simmering D. Phytodiversität in Geotgien. Die Bedeutung von Standort und Landnutzung im Grossen und Kleinen Kaukasus. *Spieg Forsch.* 2011;28(2):24-31.
- Pardo-de-Santayana M, Morales R, Aceituno-Mata L, Molina M., editors. *Inventario español de los conocimientos tradicionales relativos a la biodiversidad.* Ministerio de Agricultura, Alimentación y Medio Ambiente: Madrid; 2014. p. 1-411.
- Pauli H, Gottfried M, Dullinger S, Abdaladze O, Akhalkatsi M, Benito Alonso JL, Coldea G, Dick J, Erschbamer B, Fernández Calzado R, Ghosh D, Holten JI, Kanka R, Kazakis G, Kollár J, Larsson P, Moiseev P, Moiseev D, Molau U, Moleró Mesa J, Nagy L, Pelino G, Puşcaş M, Rossi G, Stanisci A, Syverhuset AO, Theurillat JP, Tomaselli M, Unterluggauer P, Villar L, Vittoz P, Grabherr G. Recent Plant Diversity Changes on Europe's Mountain Summits. *Science* 2012;336:353. doi:10.1126/science.1219033
- Pei SJ. Traditional Culture of Flower Eating on *Rhododendron* and *Bauhinia* in Yunnan, China. In: Konta F, Pei SJ, editors. *Proceedings of the International Symposium on Flower-eating Culture in Asia: Kunming; 1989. China.* p. 18-26.
- Pieroni A, Ibraliu A, Abbasi AM, Papajani-Toska V. An ethnobotanical study among Albanians and Aromanians living in the Rraicë and Mokra areas of Eastern Albania. *Gen Res Crop Evol.* 2014. doi:10.1007/s10722-014-0174-6.
- Pieroni A, Nedelcheva A, Dogan Y. Local knowledge of medicinal plants and wild food plants among Tatars and Romanians in Dobruja (South-East Romania). *Gen Res Crop Evol.* 2015;62:605-620. doi:10.1007/s10722-014-0185-3.
- Pistrick K, Akhalkatsi M, Girgvliani T, Shanshiashvili T. Collecting plant genetic resources in Upper Svaneti (Georgia, Caucasus Mountains). *J Agr Ru Dev Trop Subtrop.* 2009;Suppl 92:127-135.
- Polat R, Cakilçioğlu U, Satıl F. Traditional uses of medicinal plants in Solhan (Bingöl-Turkey). *J Ethnopharmacol.* 2013;148:951-963.
- Poot Pool WS, van de Wal H, Flores-Guido S, Pat-Fernández JM, Esparza-Olguín L. Homegarden agrobiodiversity differentiates along a rural-peri-urban gradient in Campeche, México. *Economic Botany* 2015;69(3):203-217.
- Quave CL, Pieroni A. A reservoir of ethnobotanical knowledge informs resilient food security and health strategies in the Balkans, *Nature Plants,* 2014;14021. doi:10.1038/NPLANTS.2014.21.
- Ramishvili R. *Dikorastushii vinograd Zakavkazia (Wild Grape of the South Caucasus).* Ganatleba: Tbilisi; 1988. (in Russian)
- Reyes-García V, Aceituno L, Vila S, Calvet-Mir L, Garnatje T, Jesch A, Lastra JJ, Parada M, Rigat M, Vallès J, Pardo-de-Santayana M. Home gardens in three mountain regions of the Iberian peninsula: Description, motivation for gardening, and gross financial benefits. *J Sust Agr.* 2012;36(2):249-270.
- Reyes-García V, Aceituno-Mata L, Calvet-Mir L, Garnatje T, Gómez-Baggethun E, Lastra JJ, Ontillera R, Parada M, Rigat M, Vallès J, Vila S, Pardo-de-Santayana M. Resilience of traditional knowledge systems: The case of agricultural knowledge in home gardens of the Iberian peninsula. *Glob Env Change.* 2014;24:223-231.
- Reyes-García V, Guèze M, Luz AC, Paneque-Gálvez J, Macía MJ, Orta-Martínez M, Pinod J, Rubio-Campillo X. Evidence of traditional

knowledge loss among a contemporary indigenous society. *Evol Hum Behav.* 2013;34(4):249-257.

Reyes-García V, Vila S, Aceituno-Mata L, Calvet-Mir L, Garnatje T, Jesch A, Lastra JJ, Parada M, Rigat M, Valles J, Pardo-de-Santayana M. Gendered homegardens: A study in three mountain areas of the Iberian peninsula. *Econ Bot.* 2010;64(3):235-247.

Schatz G, Shulkina T, Nakhutsrishvili G, Batsatsashvili K, Tamanyan K, Alizade V, Kikodze D, Geltman D, Ekim T. Development of Plant Red List Assessments for the Caucasus Biodiversity Hotspot. In: Zazanashvili N, Mallon D., editors. *Status and Protection of Globally Threatened Species in the Caucasus.* Contour: USA; 2009. p. 188-192.

Schunko C, Grasser S, Vogl CR. 2015. Explaining the resurgent popularity of the wild: motivations for wild plant gathering in the Biosphere Reserve Grosses Walsertal, Austria. *J Ethnobiol Ethnomed.* 2015;11:55. doi:10.1186/s13002-015-0032-4.

Sezik E, Yesilada E, Honda G, Takaishi Y, Takeda Y, Tanaka T. Traditional medicine in Turkey X. Folk medicine in Central Anatolia. *J Ethnopharmacol.* 2001;75:95-115.

Smith NJH. 1996. Home gardens as a springboard for agroforestry development in Amazonia. *Tree Crops J.* 9:11-30.

Sõukand R, Pieroni A. The importance of a border: Medical, veterinary, and wild food ethnobotany of the Hutsuls living on the Romanian and Ukrainian sides of Bukovina. *J Ethnopharmacol.* 2016;185:17-40.

Stryamets N, Elbakidze M, Ceuterick M, Angelstam P, Axelsson R. From economic survival to recreation: contemporary uses of wild food and medicine in rural Sweden, Ukraine and NW Russia. *J Ethnobiol Ethnomed.* 2015;11:53. doi:10.1186/s13002-015-0036-0.

Tetik F, Civelek S, Cakilcioglu U. Traditional uses of some medicinal plants in Malatya (Turkey). *J Ethnopharmacol.* 2013;146:331-346.

This P, Lacombe T, Thomas MR. Historical origins and genetic diversity of wine grapes. *Tr Genet.* 2006;22(9):511-519.

Vogl-Lukasser B, Vogl CR, Gütler M, Heckler S. Plant species with spontaneous reproduction in

Wilkinson L. *venneuler: Venn and Euler Diagrams.* R package version 1.1-0. 2011. <http://CRAN.R-project.org/package=venneuler>.

Yeşilada E, Honda G, Sezik E, Tabata M, Fujita T, Tanaka T, Takeda Y, Takaishie Y. Traditional medicine in Turkey. V. Folk medicine in the inner Taurus Mountains. *J. Ethnopharmacol.* 1995;46:133-152

Yeşilada E, Honda G, Sezik E, Tahat M, Gotoc K, Ikeshiro Y. Traditional medicine in Turkey IV. Folk medicine in the Mediterranean subdivision. *J. Ethnopharmacol.* 1993;39:31-38

Yeşilada E, Sezik E, Honda G, Takaishi Y, Takeda Y, Tanaka T. Traditional medicine in Turkey IX: Folk medicine in north-west Anatolia. *J Ethnopharmacol.* 1999;64:195-210.

Zazanashvili N, Gagnidze R, Nakhutsrishvili G. 2000. Main types of vegetation zonation on the mountains of the Caucasus. *Acta Phyt Suec.* 85:7-16.

Zhizhizlashvili K, Berishvili T. Zemo Svanetis kulturul mtsenareta shestsavlisatvis (Study of cultivated plants in Upper Svaneti). *Bull Geor Acad Sci* 1980;100(2):417-419.



დამატებითი ფაილი 1. ნაპოვნი სახეობები და მათი გამოყენება

Family / Scientific name	კოლ. #	გამოყენება	ქართული სახელი	კუთხური სახელი	ადგილობრივი სახელი	გამოყენებული ნაწილი	სამყოფელი
<b>Actinidiaceae</b>							
<i>Actinidia callosa</i> Lindl.	12	საკვები (ადამიანის საკვები)	კივი			ნაყოფი	ბაღ-ბოსტანი
<b>Adoxaceae</b>							
<i>Sambucus ebulus</i> L.	425	საკვები (არაყი, ადამიანის საკვები, ხინკალი, ფხალი); სამკურნალო (გაციება, ხველა, დიარეა, კუჭ-ნაწლავი, ნაწლავები, ღვიძლი, ფილტვები); ვეტერინ (შებერილობა)	ანწლი	გენჭკ, ღენღი		ყვავილი, ნაყოფი, ფოთოლი, მთელი მცენარე	ტყე
<i>Sambucus nigra</i> L.	426	საკვები (ადამიანის საკვები)	დიდგულა	თოფილაი		ნაყოფი	ტყე
<i>Viburnum lantana</i> L.	488	კულტურული (ყელსაბამი, მჟავე, ავგაროზი, ყავარჯნები); საკვები (ადამიანის საკვები); სამკურნალო (წნევა, გაციება, ანთება, ნაკეთობები, ყავარჯნები); ნაკეთობები (ყავარჯნები)	უზანი	ალუდა, თურსა, ურალუზანი, წონწოფ		ნაყოფი, ღერო	ტყე, ბაღ-ბოსტანი
<i>Viburnum opulus</i> L.	489	კულტურული (ავგაროზი); საკვები (არაყი, ადამიანის საკვები, ჩაი); სამკურნალო (წნევა, ხველა, გული, ფილტვები); ნაკეთობები (ყავარჯნები)	უზანი, ძახველი	ალუდა, სანწეფი, წონწოფ		ქერქი, ტოტები, ნაყოფი, ღერო	ტყე
<b>Agaricaceae</b>							
<i>Agaricus arvensis</i> Schaeff.	14	საკვები (ადამიანის საკვები)	მინდვრის ქამა, ქამა			ნაყოფი	ტყე, ბაღ-ბოსტანი
<i>Agaricus augustus</i> Fr.	15	საკვები (ადამიანის საკვები)	ცხვარიო			ნაყოფი	ტყე
<i>Agaricus campestris</i> L.	16	საკვები (ადამიანის საკვები)	მინდვრის სოკო			ნაყოფი	ტყე
<i>Bovista</i> sp.	68	საკვები (ადამიანის საკვები)	ფიჭვნარა,			ნაყოფი	ტყე
<i>Bovista</i> sp.	69	საკვები (ადამიანის საკვები)	ფიჭვნარა სოკო			ნაყოფი	ტყე
			გუდაფშუტა				

<i>Lycoperdon</i> sp.	300	საკვები (ადამიანის საკვები)	გუდაფშუტა		ნაყოფი	ტყე
<i>Clavatia gigantea</i> (Batsch) Rostk.	114	საკვები (ადამიანის საკვები)	ფურფაშა, ცვარიო		ნაყოფი	ტყე
<i>Coprinus comatus</i> (O.F.Müll.) Pers.	119	საკვები (ადამიანის საკვები)	მერცხალა, გველის სოკო,		ნაყოფი	ტყე
<i>Lycoperdon perlatum</i> Pers.	298	საკვები (ადამიანის საკვები); სამკურნალო (სისხლდენა, ჭრილობა)	მალათუ		ნაყოფი, Spores	ტყე
<i>Lycoperdon pyriforme</i> Schaeff.	299	საკვები (ადამიანის საკვები); სამკურნალო (სისხლდენა, ჭრილობა)	მალათუ		ნაყოფი, Spores	ტყე
<i>Macrolepiota</i> sp.	303	საკვები (ადამიანის საკვები)	წერეწო		ნაყოფი	ტყე
<b>Amanitaceae</b>						
<i>Amanita caesarea</i> (Scop.) Pers.	27	საკვები (ადამიანის საკვები)	ნიყვი, წითელქუდა		ნაყოფი	ტყე
<i>Amanita muscaria</i> (L.) Lam.	28	საკვები (ადამიანის საკვები)	წითელი შხამასოკო		ნაყოფი	ტყე
<b>Amaranthaceae</b>						
<i>Amaranthus palmeri</i> S. Watson	29	საკვები (ადამიანის საკვები, ფხალი)	ჯიჯილაყი		ფოთოლი	ტყე, ბაღ-ბოსტანი
<i>Amaranthus paniculatus</i> L.	30	საკვები (ადამიანის საკვები, ფხალი)	წითელი მხალი, წითელი ჯიჯლაყა		ფოთოლი	ტყე
<i>Amaranthus retroflexus</i> L.	31	საკვები (ადამიანის საკვები, ფხალი)	ჯიჯლაყა		ფოთოლი, ღერო	ტყე, ბაღ-ბოსტანი
<i>Atriplex hortensis</i> L.	53	საკვები (ადამიანის საკვები, ფხალი)	წითელი მხალი	თათაბო	ფოთოლი	ტყე
<i>Beta vulgaris</i> L.	56	საკვები (ადამიანის საკვები, ფხალი, მჟავე)	ჭარხალი		ნაყოფი, ფოთოლი, ფესვი	ბაღ-ბოსტანი
<i>Beta vulgaris</i> L. ssp. <i>cicla</i> (L.) Moq.	57	საკვები (ადამიანის საკვები)	მანგოლდი, ფოთლოვანი ჭარხალი, წითელი მხალი		ფოთოლი	ბაღ-ბოსტანი
<i>Beta vulgaris</i> L. ssp. <i>esculenta</i> (Salisb.) Gürke var. <i>altissima</i> Rössig. = <i>Beta vulgaris saccharifera</i> Alef.	58	საკვები (ადამიანის საკვები)	შაქრის ჭარხალი		ფესვი	ბაღ-ბოსტანი
<i>Beta vulgaris</i> L. sugar beet	59	საკვები (ადამიანის საკვები, მჟავე)		ხულ	ფოთოლი, ფესვი	ტყე, ბაღ-ბოსტანი

<i>Chenopodium album</i> L.	103	საკვები (ხაჭაპური, ადამიანის საკვები, ფხალი, მჟავე)	ნაცარქათამა	მესგვლა, მესკვა, ნაცარქათამა, ქათანაცარა	ნაყოფი, ფოთოლი, ღერო	ტყე, ბაღ-ბოსტანი
<i>Chenopodium foliosum</i> (Moench) Asch.	104	საკვები (ადამიანის საკვები, ფხალი, მჟავე); ნაკეთობები (საღებარი)	მათუთა	ძალღოლა	ფოთოლი, ღერო, მთელი მცენარე	ტყე
<i>Chenopodium</i> sp.	105	საკვები (მჟავე)		ნაცარქათამა	ღერო	ტყე
<b>Amaryllidaceae</b>						
<i>Allium apeloprasum</i> L.	18	საკვები (ადამიანის საკვები)	პრასი	პრასა	ფოთოლი	ბაღ-ბოსტანი
<i>Allium cepa</i> L.	19	საკვები (ადამიანის საკვები, მჟავე)	ხახვი		ბოლქვი	ბაღ-ბოსტანი
<i>Allium fistulosum</i> L.	20	საკვები (ადამიანის საკვები)	ჭლაკვი	პრასა-ხახვი -, ჭაგვ	ბოლქვი, ფოთოლი	ბაღ-ბოსტანი
<i>Allium kunthianum</i> Vved.	21	საკვები (ადამიანის საკვები)	კლდის ხახვი	კლდისნიორა	ფოთოლი	ტყე
<i>Allium porrum</i> L.	22	საკვები (ადამიანის საკვები)	პრასი	იმერული პრასი	ბოლქვი, ღერო	ბაღ-ბოსტანი
<i>Allium sativum</i> L.	23	საკვები (ადამიანის საკვები, მჟავე, სვანური მარილი); სამკურნალო (გაციება, გრიპი)	ნიორი, ნიორი		ბოლქვი, ყვავილი, ფოთოლი	ტყე, ბაღ-ბოსტანი
<i>Allium ursinum</i> L.	24	საკვები (ფხალი, მჟავე)	მთის ღანძილი, ღანძილი	ნიხანძილი	ფოთოლი	ტყე
<i>Allium victorialis</i> L.	25	საკვები (ხაჭაპური, ადამიანის საკვები, ხინკალი, ფხალი, მჟავე)	ღანძილი	დემდე ნივრა, მალდენა, შებუ, შიშლილ, შიშლილ	ბოლქვი, ნაყოფი, ფოთოლი, ღერო	ტყე, ბაღ-ბოსტანი
<b>Anacardiaceae</b>						
<i>Pistacia mutica</i> Fisch. & C.A. Mey.	347	ნაკეთობები (საღებარი)	კევის ხე, საღსაღაჯი,		ფოთოლი	ტყე
<b>Apiaceae</b>						
<i>Aethusa cynapium</i> L.	13	საკვები (ადამიანის საკვები); სამკურნალო (ღრძილები)	მარიამძმარა		ფოთოლი	ტყე
<i>Agasyllis latifolia</i> (Bieb.) Boiss.	17	საკვები (ხაჭაპური, ადამიანის საკვები, ფხალი, მჟავე); სამკურნალო (ჭიების წამალი, ასთმა, კუჭ-ნაწლავი)	დუცი, დუცი	ლაგი	ქერქი, ფოთოლი, Petiole, ფესვი, ღერო	ტყე
<i>Anethum graveolens</i> L.	32	საკვები (ადამიანის საკვები, სვანური მარილი)	კამა		ნაყოფი, ფოთოლი, თესლი, მთელი მცენარე	ბაღ-ბოსტანი

<i>Angelica tatianae</i> Bordz.	33	საკვები (ადამიანის საკვები, მჟავე)	ანგელოზა		ღერო	ტყე
<i>Anthriscus nemorosus</i> (M. Bieb.) Spreng.	34	საკვები (ადამიანის საკვები, მჟავე); შხამი (ტოქსიკური)	ლიმი, მათუთი	ლიმი	ყვავილი, ნაყოფი, ფოთოლი, მთელი მცენარე	ტყე, ბაღ-ბოსტანი
<i>Anthriscus sylvestris</i> L.	35	საკვები (მჟავე)	ლიმი		ღერო	ტყე
<i>Apium graveolens</i> L.	36	საკვები (ადამიანის საკვები, ფხალი)	ნიახური, ნიახური		ფოთოლი, ფესვი, ღერო	ბაღ-ბოსტანი
<i>Astrantia maxima</i> Pall.	52	კულტურული (დეკორაცია); სამკურნალო (შარდმდენი)	უკვდავა		ფოთოლი, მთელი მცენარე	ტყე
<i>Carum carvi</i> L.	93	საკვები (ჩავე, ადამიანის საკვები, ხინკალი, მჟავე, საკმაზი, სვანური მარილი); სამკურნალო (დიარეა, გულის წვა)	კვლიავი, ძირა	გიცრულ, წყლის ქონდარი	თესლი	ტყე, ბაღ-ბოსტანი
<i>Chaerophyllum aureum</i> L.	97	საკვები (ადამიანის საკვები, მჟავე); სამკურნალო (ნერვები)		ყვასგ სვან, ჭიმი	ფესვი, ღერო	ტყე
<i>Chaerophyllum bulbosum</i> L.	98	საკვები (მჟავე)		ჭიმი	ღერო	ტყე
<i>Chaerophyllum caucasicum</i> Schischk.	99	საკვები (ხაჭაპური, ადამიანის საკვები, ხინკალი, მჟავე, საწებაი)	ლიმი	ჭიმი	ნაყოფი, ფოთოლი, ფესვი, ღერო	ტყე, ბაღ-ბოსტანი
<i>Conium maculatum</i> L.	117	საკვები (ადამიანის საკვები, მჟავე)	მათუთი		ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Coriandrum sativum</i> L.	120	საკვები (ადამიანის საკვები, სვანური მარილი)	ქინძი		ფოთოლი, თესლი, ღერო	ბაღ-ბოსტანი
<i>Daucus carota</i> L.	144	საკვები (ადამიანის საკვები)	შუმანა		ფესვი	ტყე
<i>Daucus carota</i> L. ssp. <i>sativus</i>	145	საკვები (ადამიანის საკვები)	სტაფილო		ფოთოლი, ფესვი	ბაღ-ბოსტანი
<i>Eryngium caeruleum</i> M. Bieb.	152	სამკურნალო (ჩაი)	ლურჯი ნარი		ფოთოლი	ტყე
<i>Falcaria sioides</i> Asch.	155	საკვები (მჟავე)	კოფრჩხილა		ღერო	ტყე
<i>Foeniculum vulgare</i> Mill.	159	საკვები (ადამიანის საკვები, სვანური მარილი)	ცერეცო		ბოლქვი, ფოთოლი, ფესვი, ღერო	ბაღ-ბოსტანი
<i>Heracleum alpinum</i> L.	202	სამკურნალო (ბუასილი)	დიყი		ფოთოლი, თესლი, ღერო	ტყე

<i>Heracleum asperum</i> M. Bieb.	203	საკვები (ადამიანის საკვები, მჟავე, საწებაი); სამკურნალო (კბილის ტკივილი)	შუპყა, შუპყაი		ფოთოლი, ფესვი, ღერო	ტყე
<i>Heracleum leskovii</i> Grossh.	204	საკვები (მჟავე)	შუპყაი		ღერო	ტყე
<i>Heracleum mantegazzianum</i> Sommier & Levier	205	სამკურნალო (კიბო)	დიყი	ჩიჩვა	ფესვი	ტყე
<i>Heracleum sect. villosum</i>	206	საკვები (მჟავე)	თეთრი დიყი	ლაგი	ღერო	ტყე
<i>Heracleum sosnowskyi</i> Manden	207	საკვები (ჩავე, ადამიანის საკვები, მჟავე, საწებაი); სამკურნალო (კიბო, სიმსივნე)	დიყი	ქები, ჩიჩვა	ფოთოლი, ფესვი, თესლი, ღერო	ტყე, ბაღ-ბოსტანი
<i>Heracleum wilhelmsii</i> Fisch. & Ave-Lall	208	საკვები (ადამიანის საკვები, მჟავე); სამკურნალო (კუჭი)	დიყი, დიყი	ქები	ფესვი, ღერო	ტყე
<i>Hippomarathrum crispum</i> (Pers.) Boiss.	219	საკვები (ადამიანის საკვები)	ქარქვეტა		ღერო	ტყე
<i>Hippomarathrum microcarpum</i> Petrov.	210	საკვები (მჟავე); სამკურნალო (გაციება)	ქარქვეტა		ნაყოფი, ღერო	ტყე
<i>Levisticum officinale</i> W.D.J. Koch	292	საკვები (ადამიანის საკვები)	ცისკარა		ფოთოლი	ბაღ-ბოსტანი
<i>Libanotis transcaucasica</i> Schischk.	293	საკვები (ჩავე, ადამიანის საკვები, მჟავე, საწებაი)	სასუქა, სასუქა		ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Ligusticum alatum</i> Spreng.	294	საკვები (ადამიანის საკვები, საწებაი)	მარიამა		ფოთოლი	ტყე, ბაღ-ბოსტანი
<i>Petroselinum crispum</i> (Mill.) Fuss.	337	საკვები (ადამიანის საკვები, ჩაი)	ოხრაბუში		ფოთოლი, თესლი, მთელი მცენარე	ბაღ-ბოსტანი
<b>Araceae</b>						
<i>Arum albispatum</i> Stev. ex Ledeb.	46	საკვები (ადამიანის საკვები)		ქალაკოდა	ფოთოლი	ტყე
<i>Arum orientale</i> M. Bieb.	47	საკვები (ფხალი); სამკურნალო (კიბო)	დათვფეხა, ქალაკოდა		ფოთოლი	ტყე
<b>Asparagaceae</b>						
<i>Asparagus</i> sp.	49	საკვები (ადამიანის საკვები)	სატაცური		ღერო	ტყე
<i>Ruscus hypophyllum</i> L.	417	საკვები (ადამიანის საკვები)	მმერხლი		ნაყოფი	ტყე
<b>Aspleniaceae</b>						
<i>Asplenium trichomanes</i> L.	50	ვეტერინ (შარდის შეკავება)	მამასწარა		მთელი მცენარე	ტყე

<b>Asteraceae</b>					
<i>Achillea grandiflora</i> M. Bieb.	7	საკვები (ადამიანის საკვები)	ჯორთკულდა		ფოთოლი ტყე
<i>Achillea micrantha</i> M. Bieb.	8	სამკურნალო (ჭრილობა)	ფარსმანდუკი	მელაკუდა	ფოთოლი, მთელი მცენარე ტყე
<i>Achillea millefolium</i> L.	9	საკვები (ხაჭაპური, ჩაი); სამკურნალო (ანთება, ნალველმდენი, შარდმდენი, ანთება, თირკმლები, ღვიძლი, პანაცეა, ყელის ტკივილი, კუჭი, წყლული, ჭრილობა); ნაკეთობები (საღებარი)	ფარსმანდუკი	მელაკუდა, წყლულის ბალახი	ყვავილი, ფოთოლი, მთელი მცენარე ტყე, ბალ-ბოსტანი
<i>Achillea nobilis</i> L.	10	სამკურნალო (რევმატიზმი, ჭრილობა)	ტილჭირი, ფარსმანდუკი	მელაკუდა	ფოთოლი, ფესვი, მთელი მცენარე ტყე
<i>Achillea ptarmicifolia</i> (Willd.) Rupr. ex Heimerl	11	სამკურნალო (ჭრილობა)	ველური ტარხუნა		ფოთოლი ტყე
<i>Arctium lappa</i> L.	37	საკვები (ადამიანის საკვები, ფხალი, მჟავე); სამკურნალო (ანტიბიოტიკი)	ძირხვენა, ძირხვენა		ყვავილი, ფოთოლი, ფესვი, ღერო ტყე
<i>Artemisia absinthium</i> L.	41	საკვები (ადამიანის საკვები); სამკურნალო (მეუკავებლობა ბავშვებში, გაციება, გრიპი, ყელის ტკივილი); ვეტერინ (ციება)	აზინდა, გიეში	გიეში, გიეში	ფოთოლი, მთელი მცენარე ტყე, ბალ-ბოსტანი
<i>Artemisia annua</i> L.	42	სამკურნალო (მწერების რეპელენტი, ჭრილობა); ვეტერინ (ჭრილობა საქონლისა)	უჯანგარი		ფოთოლი ტყე
<i>Artemisia dracunculus</i> L.	43	საკვები (ადამიანის საკვები, საკმაზი)	ტარხუნა		ნაყოფი, ფოთოლი, ფესვი ბალ-ბოსტანი
<i>Artemisia</i> sp.	44	ნაკეთობები (ცოცხები)	ავშანი		ღერო ტყე
<i>Artemisia vulgaris</i> L.	45	საკვები (ადამიანის საკვები, საწებაი); სამკურნალო (შარდმდენი, ნალვლის ბუმტი, ტილები)	ჯორთკულდა	ველური ტარხუნა	ფოთოლი ტყე
<i>Bidens tripartida</i> L.	63	საკვები (ადამიანის საკვები); სამკურნალო	ორკბილა	череда	ნაყოფი ტყე

<i>Calendula officinalis</i> L.	81	სამკურნალო (ჭრილობა)	გულყვიტელა, ნარგიზელა,		ყვავილი	ბაღ-ბოსტანი
<i>Chrysanthemum leucanthemum</i> L.	106	სამკურნალო (გული)	წყლულის წამალი		ფოთოლი	ტყე
<i>Cichorium intybus</i> L.	108	საკვები (საწებაი); სამკურნალო (დიაბეტი, ნაღლის ბუშტი, კუჭ- ნაწლავი, პირის ღრუს ანთება)	ხაპრაი	ვარდკაჭაჭა	ფოთოლი, ფესვი	ტყე
<i>Cirsium</i> sp.	109	საკვები (საწებაი); სამკურნალო (ბუასილი)	ნარი		ფოთოლი	ტყე
<i>Eruca sativa</i> Mill.	151	საკვები (ადამიანის საკვები)	რუკულა		ფოთოლი	ბაღ-ბოსტანი
<i>Helianthus annuus</i> L.	198	საკვები (ადამიანის საკვები)	მხესუმზირა		თესლი	ბაღ-ბოსტანი
<i>Helianthus tuberosus</i> L.	199	საკვები (ადამიანის საკვები)	მიწავაშლა		ფოთოლი	ბაღ-ბოსტანი
<i>Helichrysum arenarium</i> (L.) Moench	200	სამკურნალო (ნაღლის ბუშტი, კუჭ-ნაწლავი, გულის წვა, ღვიძლი, ჩაი)	ნეგო	ნეგი	ყვავილი, ფოთოლი	ტყე
<i>Inula helenium</i> L.	270	კულტურული (მოწვევა); სამკურნალო (ასთმა, ხველა, კუჭ-ნაწლავი, პანაცეა, სასუნთქი გზები); ვეტერინ (ღორის ჭირი)	კულმუხო		ფოთოლი, ფესვი	ტყე
<i>Lactuca sativa</i> L.	280	საკვები (ადამიანის საკვები)	მწვანე სალათა, სალათა		ფოთოლი	ბაღ-ბოსტანი
<i>Lactuca sativa</i> L. "greek"	281	საკვები (ადამიანის საკვები)	მწვანე სალათა		ფოთოლი	ბაღ-ბოსტანი
<i>Lactuca serriola</i> L.	282	საკვები (ადამიანის საკვები)	ღორის ქადა	ხარნუყა	ფოთოლი	ბაღ-ბოსტანი
<i>Lapsana communis</i> L.	284	საკვები (ადამიანის საკვები, ფხალი)	ვაზისძირა		ფოთოლი	ტყე
<i>Lapsana grandiflora</i> M. Bieb	285	საკვები (ადამიანის საკვები, წენიანი)	მწარე ხარნუყა		ფოთოლი	ტყე
<i>Matricaria chamomilla</i> L.	310	საკვები (ჩავე, ჩაი); სამკურნალო (ხველა, შარდმდენი, კუჭ-ნაწლავი, ნაწლავები, კუჭი, კბილის ტკივილი, ჭრილობა)	გვირილა	Ромашка	ფოთოლი, მთელი მცენარე	ტყე
<i>Petasites vulgaris</i> Desf.	336	საკვები (ჩავე, ადამიანის საკვები, ფხალი, მჟავე)	ბუერა	ბურღვილ	ფოთოლი, ღერო	ტყე, ბაღ- ბოსტანი

<i>Pyrethrum parthenifolium</i> Willd.	380	სამკურნალო (გრიპი, ანთეზა, პირის ღრუს ანთეზა, კბილის ტკივილი)	გვირილა		ფოთოლი	ტყე
<i>Pyrethrum roseum</i> (Adams) M. Bieb.	381	სამკურნალო (ჭრილობა)	სარწყილა		ფოთოლი	ტყე
<i>Pyrethrum</i> sp.	382	სამკურნალო (კბილის ტკივილი)	გვირილა		ფოთოლი	ტყე
<i>Serratula quinquefolia</i> Bieb. ex Willd.	435	საკვები (ფხალი, მჟავე)	სადვერავი, ირმისმხალა	ნადირისფხალი, ნადირისფხალი	ღერო	ტყე
<i>Sonchus asper</i> (L.) Hill.	443	საკვები (ადამიანის საკვები, ფხალი)	ღიჭა		ფოთოლი	ტყე, ბალ-ბოსტანი
<i>Tagetes patula</i> L.	457	საკვები (ადამიანის საკვები, სვანური მარილი)	ზაფრანა, ყვითელი ყვავილი - "იმერული ზაფრანა" " ", ხვერდა	გულყვითელა, იმერული ზაფრანა	ყვავილი, ნაყოფი, ფოთოლი, ფესვი, თესლი	ტყე, ბალ-ბოსტანი
<i>Taraxacum confusum</i> Schischk.	458	საკვები (ჩავე, ფხალი)	სადვიძლა	ბურბუმელა	ფოთოლი	ტყე
<i>Taraxacum officinale</i> Wigg.	459	კულტურული (სასტვენნი); საკვები (ჩავე, ადამიანის საკვები, ფხალი, ჩაი); სამკურნალო (შარდმდენი, ნაღვლის კენჭები, ლაქსატივი, ღვიძლი, პირის ღრუს ანთეზა, კბილის ტკივილი)	სადვიძლა	ნაგურელა, ფანდურპაპაი	ფოთოლი, ფესვი, ღერო	ტყე
<i>Tragopogon</i> sp.	468	საკვები (ადამიანის საკვები, მჟავე)	ფამფარა		ფოთოლი, ფესვი, ღერო	ტყე, ბალ-ბოსტანი
<i>Tussilago farfara</i> L.	476	საკვები (ჩაი); სამკურნალო (სახსრები, ბრონქიტი, გაციება, ხველა, Expectorant, Headache, ფილტვები, Vasodilation)	ვირისტერფა		ფოთოლი, მთელი მცენარე	ტყე
<b>Bankeraceae</b>						
<i>Hydnum repandum</i> Fr.	216	საკვები (ადამიანის საკვები)	ირმისტუჩა		ნაყოფი	ტყე
<i>Sarcodon imbricatus</i> (L.) P. Karts.	427	საკვები (ადამიანის საკვები)	ირემა სოკო -		ნაყოფი	ტყე



<b>Berberidaceae</b>						
<i>Berberis vulgaris</i> L.	55	საკვები (ადამიანის საკვები, ფხალი, ჩაი, ტყემალი); სამკურნალო (ნაღვლის ბუმტი, მაღალი წნევა, ღვიძლი); ნაკეთობები (საღებარი)	კოწახური, კოწახური	გოცხილ, ესკალმძარა	ნაყოფი, ფოთოლი, ფესვი	ტყე, ბალ-ბოსტანი
<b>Betulaceae</b>						
<i>Alnus barbata</i> C.A. Mey.	26	სამშენებლო (მერქანი); საკვები (ჩაი); შეშა (შეშა); ნაკეთობები (საღებარი, ავეჯი, მარხილი, ტარები)	თხმელა, მურყანი	ბელყაც	ქერქი, ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Betula litwinowii</i> Doluch.	60	სამშენებლო (სარები, მერქანი); საკვები (ადამიანის საკვები); შეშა (გასაჩაღებელი, შეშა); სამკურნალო (სახსრები, გაციება, ქერტლი, ჩიყვი, სიქაჩლე, პანაცეა, კბილის ტკივილი, ჭრილობა); ნაკეთობები (ჭიქის დასადები, ჯამები, ცოცხები, candlesticks, ურემი, Cups, Dippers, ავეჯი, საყოფაცხოვრებო ნივთები, Mortars, Plows, მარხილი, სართავი ბორბალი, კოვზები, ტარები, ლანგრები, საარყე ჭურჭელი, ყავარჯნები, უღელი)	არყი	ბელყაც, ჟახვარ	ქერქი, ტოტები, ნაყოფი, წვენი, ფოთოლი, ფესვი, ღერო	ტყე
<i>Betula pendula</i> Roth	61	სამკურნალო (ხარის გული)	არყი, მეჭეჭიანი არყი		ფოთოლი	ტყე
<i>Betula raddeana</i> Trautv	62	სამშენებლო (მერქანი); ნაკეთობები (საყოფაცხოვრებო ნივთები)	არყი, შავი არყი		ღერო	ტყე
<i>Carpinus caucasica</i> Grossh.	92	სამშენებლო (მერქანი); საწვავი (შეშა); ნაკეთობები (ავეჯი, მარხილი, ტარები)	რცხილა, ჯაგრცხილა	ცხვიმრა	ღერო	ტყე

<i>Corylus avellana</i> L.	125	სამშენებლო (ღობე, მერქანი); საკვები (ადამიანის საკვები, ფხალი); სამკურნალო (ხველა, განგრენა); ნაკეთობები (კალათები, ურემი, ავეჯი, საყოფაცხოვრებო ნივთები, თოკი, მარხილი, ტარები, ყავარჯნები)	თხილი,	შდის	ტოტები, ნაყოფი, ფოთოლი, ღერო	ტყე, ბალ- ბოსტანი
<i>Corylus pontica</i> K. Koch.	126	სამშენებლო (ღობე, მერქანი); საკვები (ადამიანის საკვები, ფხალი); სამკურნალო (ხველა, განგრენა); ნაკეთობები (კალათები, ურემი, ავეჯი, საყოფაცხოვრებო ნივთები, თოკი, მარხილი, ტარები, ყავარჯნები)	თხილი	შდის	ტოტები, ნაყოფი, ფოთოლი, ღერო	ტყე, ბალ- ბოსტანი
<b>Boletaceae</b>						
<i>Boletus edulis</i> Bull.	65	საკვები (ადამიანის საკვები)	დათიკა სოკო, დათვის სოკო, ძირბუკა,		ნაყოფი	ტყე
<i>Boletus erythropus</i> Pers.	66	საკვები (ადამიანის საკვები)	წითელფეხა	ხუშხუშა	ნაყოფი	ტყე
<b>Boraginaceae</b>						
<i>Symphytum caucasicum</i> M. Bieb.	456	სამკურნალო (მოტეხილობა, მუწუკი, კუჭ-ნაწლავი)	ლამქარა, შალდაყი	მელენ	ფოთოლი, ფესვი	ტყე, ბალ- ბოსტანი
<b>Brassicaceae</b>						
